სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 26 ივლისი 2000 №141 (1163) | ფასი 50 თეთრი

ტორპედომ მარაკანაზე ჯოჯოხეთს უნდა გაუძლოს

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.

ცრვენა ზვეზდა - ტორპედო

26 ივლისი. 23 საათი. ბელგრადი. „მარაკანა“.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

დღეს საქართველოს ჩემპიონს დიდი გამოცდა ელის: ქუთაისელებს ბელგრადში ვარსკვლავთა თავგამოდებული ქომაგები და ტიტულოვანი კლუბი დაუხვდებიან

ბელგრადის „მარაკანა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგები დღევანდელი თამაშის მოლოდინში არიან



სლავოლიუბ მუსლინი

„ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი ქართულ საფეხბურთო სკოლას აფასებს, თუმცა...

3:0 რომ გავიმარჯვოთ, ძალიან კმაყოფილი დავრჩები. ისე კი, 7:0-ის შემდეგ ქუთაისში მშვიდად ჩავალ, ამბობს სლავოლიუბ მუსლინი

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავოლიუბ მუსლინი: ცრვენა ზვეზდაც და ტორპედოც ბედმა გაწირა



სლავოლიუბ მუსლინი

— იუგოსლავიელმა კოლეგებმა ვითხრეს, მუსლინი ბულგარეთში უნდა წავიდეს და „ტორპედოს“ ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩს დაესწროო. იყავით?

— ბულგარეთში ჩასვლას მართლაც კაპირებდი, მაგრამ აქ რაღაც პრობლემები შემექმნა და ქუთაისელთა თამაშზე დასწრება ვეღარ მოვახერხე. ისე, ბულგარეთში ჩატარებული ერთ-ერთი მატჩის ფირი მომწოდეს და მთელი დღე ტელევიზორს მივჩერებივარ, „ტორპედოს“ ნათამაშევს ვარჩევ.

— რას იტყვით, ძლიერი მეტოქე გყავთ?

— საკმაოდ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ „ტორპედოს“ საწვრთნელი მატჩის ვიდეოჩანაწერია, გუნდმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თამაშისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ფეხბურთი ქართველებთან იქნება, თორემ, აბა, „კლაკსვიკართან“ რა, კარგად ვივარჯიშეთ, ბარე ათბურთიანი სხვაობითაც შეგვეძლო მათი დამარცხება, მაგრამ ბიჭებმა ფარერელები შეიცოდეს. „ტორპედოსთან“ კი გაგვიჭირდება, ყველა საგოლე მომენტის გამოყენებაა აუცილებელი. იმედი მაქვს, ქართველებთან ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება.

— „ტორპედომდე“ მართლაც სუსტი მეტოქე შეგხვდათ.

— სუსტი რომელია, თუმცა კარგიც იყო, ხომ გითხარით, ვავარჯიშეთ-მეთქი. შემადგენლობის, ბიჭების სათამაშო ფორმის შემოწმების საშუალება მომეცა.

— „კლაკსვიკართან“ თამაშის შემდეგ, „ტორპედოსთან“, შემადგენლობას მნიშვნელოვნად შეცვლით?

— არა მგონია. ამას მატჩის დღეს გადავწყვეტ. შესაძლოა, ორი-სამი ფეხბურთელი შევცვალო.

— კაპიტან ბუნიევჩევიჩს, ალბათ, ათამაშებთ.

— ზუსტად ვერ გეტყვით. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ის ისვენებდა და ერთი კვირაა, რაც ვარჯიში გუნდთან ერთად განაახლა. ვნახოთ, დაველაპარაკები და იქნებ ვათამაშო. ბუნიევჩევიჩი ჩვენთვის დიდი ძალაა.

— კიდევ? ვის გამოარჩევდით თქვენი გუნდიდან?

— არავის. ყველა ერთნაირად მიყვარს. ბოდიში, გამორჩეულად ვერავის დავასახელებ.

— დღევანდელი „ცრვენა ზვეზდა“ დიდი პოტენციის გუნდია?

— თუ ეს შემადგენლობა რამდენიმე წელი შევინარჩუნეთ, დარწმუნებული ვარ, ისეთი გუნდი გვეყოლება, რომელსაც ყველასთან თანაბრად თამაში შეეძლება. ერთობ პერსპექტიული ბიჭები არიან, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა აქ დარჩენას თამაშის სხვა ქვეყანაში გაგრძელება ამჯობინონ და გუნდიც...

— გუნდის ნაკლად რას მიიჩნევთ?

— გამოუცდელობას. ახალგაზრდები არიან, სათანადო პრაქტიკა არა აქვთ.

— კოზირი?

— კოზირი? მე ვერ გეტყვით, ეს მეტოქის მწვრთნელებმა თქვან. მათ უკეთ ეცოდინებათ.

— ბელგრადში „კლაკსვიკართან“ მატჩს „ტორპედოს“ მწვრთნელი დავით ყიფიანი ესწრებოდა. შეხვდით მას?

— დიახ, ერთმანეთს მივესალმეთ და სულ ორიოდ წუთი ვისაუბრეთ. მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს.

...ვიღაცამ მაშხალა ისროლა, ვიღაცამ პეტარდა, ჩვენებურად ჭექუნა ააფეთქა, იყო დროშა-პლაკატების ფრიალი, ირგვლივ ყველაფერი გადაწითლდა, თავი კომუნისტურ „პარადზე“ მეგონა, მერე ვიღაც გიჟმაჟი მესერს გადაევლო და მინდორზე შევარდა, თავის გამხარებელს ჩაეკონა. პოლიციელებმა ძლივს გაიყვანეს მოედნიდან...

ეს ვნახე ორი წლის წინ, ბელგრადის „მარაკანაზე“, უეფას თასის პირველ მატჩში „ცრვენა ზვეზდამ“ რუსეთის „როტორი“ დაამარცხა. მსაჯმა საფინალო რომ ჩასტვინა, ისედაც ორმოსებრი „მარაკანა“ კინაღამ ჩაინგრა. მტრისას, იქ ამბავი ხდებოდა. მაშინაც საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი გახლდათ და დღესაც საკვალიფიკაციო იქნება, ოღონდ ჩემპიონთა ლიგისა, იმავე სტადიონზე „ცრვენა ზვეზდა“ საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს.

წარმომიდგენია, რა ამბავი იქნება ტრიბუნაზე, რა ჯოჯოხეთში მოუწევთ ჩვენებურთ თამაში. კვირის წინ, როცა ვარსკვლავებმა ფარერების „კლაკსვიკარი“ დაამარცხეს, იუგოსლავიელმა კოლეგამ ამ მატჩის რეპორტაჟში აღნიშნა, მაყურებელი უჩვეულოდ ცოტა, 10 ათასამდე იყოო. ეს „უჩვეულოდ ცოტა“ ფარერების გუნდთან, თანაც პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას დაესწრო დღეს კი, დარწმუნებული ვარ, ის 10 ათასი სულ ცოტა, გაორმაგდება მაინც. „კლაკსვიკართან“ მატჩისგან განსხვავებით, „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელებსაც გაუორკეცდებათ ენერგია, ეგებ უფრო მეტადაც...

„კლაკსვიკართან“ კარგად ვივარჯიშეთ, ბარე ათბურთიანი სხვაობითაც შეგვეძლო მათი დამარცხება, მაგრამ ბიჭებმა მეტოქე დაინდეს, „ტორპედოსთან“ კი გაგვიჭირდება, ყველა საგოლე მომენტის გამოყენებაა აუცილებელი“ — გვითხრა „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმა. კაცმა, რომლის გაწვრთნილ „ბორდოშიც“ 1996 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები — ზიდანი, ლიზარაზუ, დიუგარი თამაშობდნენ და სწორედ მაშინ ამობრწყინდნენ. მისივე თქმით, იგი ზიდანის გამზრდელ-დამვაჟკაცებელიცაა.

სლავოლიუბ მუსლინი იუგოსლავიაში ერთობ პატივცემული და დაფასებული პიროვნებაა, საქმის ჩინებულად მცოდნე სპეციალისტი და ზრდილად მოსაუბრეც. „სიამოვნებით, რა პრობლემაა“ — პირველად ეს გვიპასუხა მუსლინმა, როცა ბელგრადში შევეხმიანეთ, „ტოპრედოსთან“ მატჩის წინ ინტერვიუ ვთხოვეთ...

ერთგული გულშემატკივარი „წითელ ვარსკვლავებს“ დღესაც დაუღალავად უქომაგებს

— პირველ მატჩში რა ანგარიშით მოგება დაგგმაყოფილებთ?

— 3:0 რომ გავიმარჯვოთ, ძალიან კმაყოფილი დავრჩები. ისე კი, 7:0-ის შემდეგ ქუთაისში მშვიდად ჩავალ.

— იმ ნანახი ფირით რომელი ტორპედოელის თამაში მოგეწონათ?

— სიჭინავა და იმედაძე თამაშობდნენ კარგად.

— შესაძლო სამომავლო მეტოქეზე — კიევის „დინამოზე“ რა აზრის ბრძანდებით?

— ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. „ტორპედო“ თუ დავამარცხეთ, ხომ კარგი, მაგრამ მერე... გულახდილად ვთქვა, კენჭისყრისას არ გაგვიმართლა. მგონი, შესაძლო მეტოქეებიდან ყველაზე უფრო ბედმა ჩვენს წყვილში გამარჯვებული გაწირა. და კიდევ, კიევის „დინამოში“ მოთამაშე კალაძე და დემეტრაძე ქართველები არ არიან?

— დიახ.

— აქედან ჩანს ქართული საფეხბურთო სკოლის სიძლიერე.

— იუგოსლავიელებსაც კარგი სკოლა გაქვთ.

— გეთანხმებით.

— ახლა თქვენს უცხოურ კარიერაზე გვითხარით. 1996 წელს ფრანგულმა „ბორდომ“ თქვენი ხელმძღვანელობით ინტერტოტოს გათამაშებიდან რომ დაიწყო და უეფას თასის ფინალამდე მიაღწია, გუნდს შუა გზაზე „მილანთან“ მატჩამდე რატომ დაშორდით?

— ძალიან კი არ მინდოდა „ბორდოს“ დატოვება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის გადამკიდე იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი. ისეთი კონფლიქტი გვქონდა, ერთმანეთს ლამის ფიზიკურად გავუსწორდით. ერთს ვეუბნებოდი, მეორეს აკეთებდა. არადა, ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ის „ბორდო“ უფრო უკეთესი გუნდი იქნებოდა.

— ახალი ფეხბურთელების ყიდვის წინააღმდეგი იყო?

— დიახ. კიდევ რამდენიმე საკითხში ვერ შევთანხმდით და მეც გაცლა ვამჯობინე.

— მაშინდელი გუნდის წევრებთან ახლაც გაქვთ ურთიერთობა?

— როგორ არა. ხშირად ვურეკავთ ხოლმე ერთმანეთს. ძალიან კარგი ბიჭები არიან.

— ზიდანი, დიუგარი, ლიზარაზუ...

— ლამა, ჟინოლა...

— რა შუაშია?

— ისინიც ჩემს ხელში დავაჭკაცდნენ. ზიდანის გამზრდელთაგანი მეც ვარ.

— თქვენ?

— დიახ, არ ვაჭარბებ. დიდი ფეხბურთის თამაში „ბორდოში“ ჩემი მწვრთნელობისას დაიწყო.

— ხვდებოდით, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ზრდიდით?

— მაშინვე ეტყობოდა, როგორი ფეხბურთელიც დადგებოდა. ისე და იმდენს ვარჯიშობდა, გაკვირვებული ვიყავი. შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, ზინედინი უდიდესი ფეხბურთელია. მე მისით ვამაყობ. ისე როგორ იქნება, ორ კვირაში ერთხელ მაინც არ დამირეკოს და თავის ამბავი არ მომიყვეს. ფეხბურთელი ხომ არის და არის, პიროვნებაც არანაკლებია.

— „ცრვენა ზვეზდას“ ამ შემადგენლობიდან ვინმე თუ ითამაშებს დიდ ფეხბურთს?

— მონაცემები ბევრს აქვს. შეუძლიათ, უნდა მოინდომონ.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ჯოჯოხეთი ბელგრადულად: „მარაკანაზე“ „ცრვენა ზვეზდამ“ მორიგი მეტოქე დაამარცხა

მუსლიმა ყიფიანს დაუმალა

ცრვენა ზვეზდა — ტორპედოს ხილვა ქართველ ქომაგებსაც შეეძლებათ

— ძალიან სერიოზული მეტოქე შეგვხვდა. კიევის „დინამო“ „მილანზე“ ან „ინტერზე“ სუსტი გუნდი არ გეგონოთ. „დინამო“ რამდენიმე წელია, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. ეს ყველაფერზე მეტყველებს“ — განუცხადა ჩვენს იუგოსლავიელ კოლეგებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს“ დღევანდელი მოწინააღმდეგის, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მცველმა საშა ზორიჩმა.

მავანი იტყვის, ეს ზორიჩი ისე ლაპარაკობს, თითქოს ქართული ბარიერი უკვე დაძლეული ჰქონდესო, მაგრამ...

„კიევის „დინამოზე“ ჯერ არ ვფიქრობთ. მანამდე ქუთაისის „ტორპედოა“. ჩვენს წყვილში გამარჯვებულს ბელგრადული მატჩი ვერ გამოავლენს. ყველაფერი ქუთაისში გამოჩნდება, სათამაშო 180 წუთის შემდეგ“ — დაამატა იქვე „წითელი ვარსკვლავების“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა.

იუგოსლავიური პრესის ცნობით, „ცრვენა ზვეზდა“ „ტორპედოსთან“ მატჩისთვის დიდი სერიოზულობით ემზადება. კლუბის თავკაცმა სლავოლიუბ მუსლინმა ქუთაისელთა ბულგარეთში შეკრების ამბავი რომ შეიტყო, უმალ მზვერავი გაგზავნა. რადკო დოსტანიჩი „ტორპედოსა“ და ვარნის „სპარტაკის“ ამხანაგურ მატჩსაც დასწრებია. ბელგრადელთა წარგზავნილს ამ შეხვედრის ვიდეოკასეტაც ჩაუგდია ხელში. სამშობლოში ჩასულს კი უთქვამს, ჩემი დანახვა ქართველებს სულაც არ გაუხარდათ, „არასასიამოვნო და უდროო სტუმარიც“ კი მიწოდესო.

იუგოსლაველებს „ტორპედოს“ შემადგენლობა რომ გაუგიათ, ერთი ფეხბურთელი უმალ უცვნიათ. თენგიზ სიჭინავა ის არ არის, ორი წლის წინ „ბათუმში“ რომ თამაშობდა და ჩვენს თანაქალაქელ „პარტიზანს“ თასების თასზე გოლიც გაუტანაო, უთქვამთ ქუთაისელთა ახალწვეულზე. სლავები ყველაზე მეტად თურმე სწორედ სიჭინავასა და ზურაბ იონანიძეს უფრთხიან.

„ყველაზე სახიფათო მაინც თავდამსხმელი იონანიძე უნდა იყოს, მან შარშანდელ სეზონში ჩატარებულ 28 მატჩში 25 გოლი გაიტანა“ — აცხადებს მუსლინი, რომელსაც თითოეულ ტორპედოელზე შეუგროვებია ინფორმაცია.

მატჩის წინ „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, თუმც მაინც ფრთხილობენ. „ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა დავისახეთ მიზნად, ეს უნდა შევძლოთ. ძნელი მეტოქეები გვყავს, მაგრამ...“ — ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო, დაახლოებით ასე გამოუვიდა გუნდის კაპიტან გორან ბუნიევჩევიჩს. და ისევ საშა ზორიჩი: „შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებზე თუ ვისაუბრებთ, ალბათ, ჩვენ უფრო მეტი გვაქვს, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ყველაფერი მინდორზე გაირკვევა“.

ფარერების „კლაქსვიკარისგან“ განსხვავებით „ტორპედოსთან“ „ცრვენა ზვეზდა“ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. გუნდს ზემოხსენებული ბუნიევჩევიჩი, ზორიჩი და მეკარე პიანოვიჩი დაემატნენ. იუგოსლავიური გაზეთების ცნობით, ამ ფეხბურთელთა არყოფნის მიზეზი ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ყოფილა. როგორც მუსლინმა აღიარა, კოლეგას გუნდის ორი წამყვანი ფეხბურთელად დუმალა. ცნობისათვის, ზორიჩიც და ბუნიევჩევიჩიც მცველები არიან, რაც ამ არგუმენტს ცოტა არარეალურს ხდის.

დღევანდელი მატჩისთვის „ცრვენა ზვეზდას“ კუთვნილ „მარაკანას“ სტადიონზე საკმო რაოდენობის ქომაგებს ელიან. „წითელი ვარსკვლავების“ თავგადაკლული გულშემატკივრები, როგორც ყოველთვის, ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მოკალათდებიან, სადაც ბილეთი 50 იუგოსლავიური დინარი ღირს. საერთოდ კი ბილეთის ფასი 50-დან 100 დინარამდე მერყეობს.

„ცრვენა ზვეზდა“ — „ტორპედოს“ შეხვედრა დღეს თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება. მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟის მოწყობას რუსული „ნტვ პლუს ფუტბოლი“ აპირებს. ასე რომ, თამაშის ხილვის საშუალება საკაბელო ტელევიზიის მქონე ქართველ ქომაგებსაც მიეცემათ.

ვანო ოქროპირიძე

ოთხი დღე უმაღლესი ლიგისთვის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია მოსკოვიდან დაბრუნდა. რუსეთის დედაქალაქში ფიფას და უეფას ემისრებმა სემინარები მოაწყვეს. ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თავკაცობით ფიფა-უეფასეულ ლექციებს საშეჯიბრო და სამსაჯო კომიტეტების თავკაცები, საერთაშორისო განყოფილებების წარმომადგენლები და მწვრთნელები დესწრნენ.

აღნიშნულ საგანმანათლებლო ვიზიტთან დაკავშირებით, როგორც შევიტყვეთ, ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართება და ჟურნალისტებიც ამომწურავ ინფორმაციას იქ მივიღებთ.

მანამდე კი ფეხბურთის ფედერაცია მუშაობის ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა. ყველა თავის სამუშაოზეა და, ალბათ, სულ მალე აღმასკომის სხდომაც ჩატარდება, სადაც მეთორმეტე ჩემპიონატის საჭირბოროტო საკითხებს განიხილავენ და სხვადასხვა ლიგების კალენდრებსაც დამტკიცებენ.

მართალია, კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და არავინ იცის, 19 აგვისტომდე (ჩემპიონატი იწყება) კიდევ რა მოხდება, მაგრამ ერთი რამ ნათელია — მსაჯთა კორპუსი შეკრებებს ვერ ეღირსება, ფედერაციას ამისთვის ფული არა აქვსო.

მეთერთმეტე ჩემპიონატის წინ მსაჯებს ორი შეკრება ჰქონდათ და ნაყოფიერადაც გამოიყენეს. სხვა თუ არაფერი, ფიზიკური მომზადება მაინც არ დაეწუნებოდათ. სამსაჯო კომიტეტის მიერ მომზადებული არბიტრები ზოგიერთ ჩვენებურ ფეხბურთელზე სწრაფად და მეტს დარბოდნენ. წლეულს კი ნურას უკაცრავად, თბილისში თქვენით მოემზადეთო.

კიდევ, სულ მალე ფედერაცია უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების განაცხადების მიღებას დაიწყებს.

ძლიერთა ლიგაში თავშეყრილებმა სულ ოთხი დღე უნდა იკმარონ.

11 აგვისტოს ფედერაციაში თბილისის „მერანი“ (11 საათზე), გორის „დილა“ (13 საათზე) და ბოლნისის „სიონი“ (15 საათზე) დაიბარეს.

12 აგვისტო თბილისის „ლოკომოტივის“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ დღეა.

14 აგვისტოს თბილისის „დინამოს“, რუსთავის „გორდასა“ და „ბათუმის“ წარმომადგენლებს მოუწევთ თავის შეწუხება.

15 აგვისტო კი თსუ-ს, ფოთის „კოლხეთს“ და სამტრედიის „იბერიას“ დაეთმობა.

პირველ ლიგელებითვის კი სამი დღეა გამოყოფილი.

21 აგვისტო: თბილისის „თბილისი“ (11 საათზე), „ცხინვალი“ (13 საათზე), სამტრედიის „ოკეანე“ (15 საათზე), ზესტაფონის „მეტალურგი“ (17 საათზე).

22 აგვისტო: ასკ (თბილისი), ხობის „კოლხეთი“, ზუგდიდი და ბორჯომის „თორი“.

23 აგვისტო: წნორის „მილანი“, ქობულეთის „შუქურა“, წყალტუბოს „სამგურალი“ და თბილისის „ლოკომოტივი 2“.

როგორც ფედერაციის თავკაცობა ირწმუნება, ვინც 15 აგვისტომდე განაცხადს არ წარმოადგენს, გათამაშებაში არ დაიშვება.

დათო დანელია

სტუდენტური სავანე

ლაგოდეხურ შეკრებას აგრძელებს თბილისური თსუ. დედაქალაქურ ხვატს გარიდებული სტუდენტები დაუფარავად აცხადებენ, სამოთხეში მოვხვდითო.

სასიამოვნო სიგრილე, ყუათიანი სამჯერადი კვება, ცხელი წყალი, სავარჯიშო მინდორი საძებარი არაა. ერთი ეგაა მარტონი ვართო დაიჩივლა თსუ-ს თავკაცმა თენგიზ კაციამ.

კარგ პირობებში მოხვედრილ სტუდენტებს მწვრთნელი არ ზოგავს. შრომა დილის რვის ნახევრიდან იწყება, მეორე ვარჯიში თორმეტ საათზეა დანიშნული, სალამოს შვიდის ნახევარზე მოირგებენ საწვრთნელ ფორმას.

პარალელურად საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. თსუ-მ მეორე ცდაზე 2:0 დაამარცხა წნორის „მილანი“. გოლები ბექა ნოზაძემ და წუწუნავამ გაიტანეს.

გუშინ თბილისელთა მეტოქე „ჭაბუკიანი“ იყო. ლობჟანიძის, ახალაძისა და ბოკერიას გოლებით თსუ-მ მეტოქეს 3:2 მოუგო.

სამწუხაროდ ათდღიანი შეკრება ხვალ მთავრდება და სტუდენტებს თბილისურ სიცხესთან ხელმეორედ შეგუება მოუწევთ.

დათო დანელია

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში ემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:2, 1:1*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	13.07-დან გერმანიაში ემზადება. *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენშამლონი (გერმანია) 4:0, კოტბუსი (გერმანია) 1:1, უნიონი (გერმანია) 1:2, ჰანზა (გერმანია) 0:1*
	დინამო *რევაზ არგელაძე*	ბიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მკაბი, თა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?), გ. შენგელია (ლოკომოტივი)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჟაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ლობჟანიძე (?)	24.07-დან ქობულეთში ემზადება *შამპირი (ა ზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, ლოკომოტივი 1:0*
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი*, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), გელა ქორიძე (მერანი), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჟაძე (დინამო)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მჟავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა)	18.07-დან ჩაქვში ემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	25.07-დან მალთაყვაში ემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	27.06-დან ბოლნისში ემზადება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, (?, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		05.07-დან მოსკოვში ემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი), გრიგალაშვილი (ცხინვალი), ა. ხმალაძე (არსენალი)	21.06-დან გორში ემზადება *ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1*
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა)	ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი), გელა ქორიძე (ბათუმი)	10.07-დან თბილისში ემზადება *ლოკომოტივი 1:2*
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ბილი, რუსეთი), ჩიხრაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი)*, კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე (სიონი), გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭვეიშვილი (ისრაელი)	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), გ. შენგელია (დინამო)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 22.07-დან კოჯორში ემზადება *გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, დინამო 0:1*
	თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა)	17.07-დან ლაგოდეხშია, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2*
	გორდა *იასონ ალაკაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ბუკია (თსუ), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ემზადება *ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (ა ზერბაიჯანი) 2:0*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ვისხდეთ და ველოდოთ?!

ეროვნული გაბაზრდა, დინამო კვდება

დახურული ღია კარის ამბავი

პარასკევს, 21 ივლისს, „სარბიელის“ რედაქციაში სატელეფონო ზარი გაისმა. სახელმწიფო კანცელარიის ერთ-ერთი მოხელე 25 ივლისს თავისთან გვეპატიჟებოდა. ამაში არაფერი იყო უჩვეულო, იმ დღესაც კანცელარიაში ეროვნული სტადიონის და „დინამოს“ საკითხებზე მომუშავე კომისიის შემაჯამებელი სხდომა უნდა ჩატარებულიყო და ჩვეულებისამებრ წინასწარ შეგვატყობინეს. ეს სხდომა გუშინ გაიმართა, ოღონდ დაზმირ ჯოჯუას კაბინეტის კარი მასმედიისთვის დახურული აღმოჩნდა. საქმე ის გახლდათ, რომ პარასკევს ახალ, დიდ სკანდალს ჩაეყარა საფუძველი — სამართალდამცავებმა ს.კ. „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი დააპატიმრეს, მომდევნო დღეს კი ბრალიც წაუყენეს. სახელმწიფო კომისიის წევრების თქმით, ამ ფაქტმა კომისიის მუშაობის მნიშვნელობა ერთიორად გაზარდა (წესით, უმნიშვნელო არც მანამდე უნდა ყოფილიყო) და როგორც ჩანს, ჟურნალისტებს ამიტომაც მიგვითითეს გარეთ, თუმცა დაზმირ ჯოჯუას კაბინეტის კარი ჩვენთვის მაინც გაიღო. ბატონ თემურ მირიანაშვილის ძალისხმევით სახელმწიფო კანცელარიაში მოხვედრილ ორიოდ ჟურნალისტს დახმარება კომისიის წევრმა, გულშემატკივართა კლუბ „ქართლოსის“ პრეზიდენტმა გოგი დემეტრაძემ გაგვიწია. დემეტრაძე ყოველთვის მომხრეა იმისა, რომ მსგავსი საკითხების გარჩევას ჟურნალისტები დაესწრონ. ბატონმა გოგიმ რომ შეატყო, მოვლენებს მიღმა ვრჩებოდით, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, სხდომის დაწყებისას შესასვლელ კართან ახლოს დაკავა ადგილი, შემდეგ კი კომისიის წევრებს განუცხადა, ჰაერი არ მყოფნის, თავს ცუდად ვგრძნობო და მდივან გოგონას კაბინეტის კარის გაღება სთხოვა. შემდეგ თვალი მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვიკრა და 4-საათნახევრის განმავლობაში (სწორედ ამდენ ხანს გასტანა კომისიის მუშაობამ) დაზმირ ჯოჯუას კაბინეტის კარი ღია დარჩა, ჩვენც საშუალება მოგვეცა, სხდომის მსვლელობისთვის თვალ-ყური გვედევნებინა.

ისევ არაჩვეულებრივი გამოფენაა

სწორედ ეს ჩაილაპარაკა კანცელარიაში მომუშავე მავანმა ქალბატონმა, როცა დაზმირ ჯოჯუას კარგამოღებულ კაბინეტს ჩაუარა... სამ თვეზე მეტია, შექმნილია სახელმწიფო კომისია, სამ თვეზე მეტია, მასში შემავალი სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციის, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ვეტერანი ფეხბურთელები, რიგითი გულშემატკივრები მსჯელობენ, კამათობენ, იკვლევენ, აპროტესტებენ, ჩიხიდან გამოსავალს ეძებენ, მაგრამ შედეგი არ ჩანს. პრობლემა ტრადიციული, უცვლელია — როგორ შევინარჩუნოთ „ეროვნული“ და რა გზით გადავარჩინოთ „დინამო“? აი, ორი მთავარი კითხვა, რომლებსაც პასუხი, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოეძებნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — რაც აღნიშნული პრობლემების დაძლევის მიზნით სახელმწიფო კომისია შეიქმნა, მით უფრო უკან წავიდა ეროვნული სტადიონის, განსაკუთრებით კი „დინამოს“ საქმე. ცოტა უკან გავიხედოთ და გავიხსენოთ: კომისიის შექმნას დაემთხვა ის ფაქტი, რომ ფიფამ „დინამოს“ „მრეტებისთვის“ გადასახდელი 300 000 დოლარის ბოლო ვადად 31 ივნისი დაუთქვა. „დინამომ“ ამ თანხის გადახდა ვერ შეძლო. შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი ინტერტოტოს თასის გათამაშებიდან გამოვარდა, მერეც სავალალოდ გაგრძელდა ათგზის ჩემპიონის საქმე, ჯერ ფიფამ გამოიტანა მკაცრი ვერდიქტი — „დინამოს“ სატრანსფერო ოპერაციების განხორციელების უფლება შეუჩერა, წინა პარასკევს კი კლუბის პრეზიდენტი მერაბ რატიანი დააპატიმრეს.

3 აგვისტოს „დინამოს“ კიდევ ერთი განსაცდელი ელის — ფიფას სადისციპლინო კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, სახელმწიფო კომისია კი არარსებული (არ დაგავიწყდეთ, „დინამო“ რეგისტრაციაში დღემდე არ არის გატარებული), ფაქტობრივად, გაცამტვერებული კლუბის კრიზისიდან გამოყვანის გზებზე მსჯელობს, გზებზე, რომლებსაც რეალურად ვერ სახავს.

წამითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ კომისიის წევრთა უმეტესობა სერიოზულად არის დაინტერესებული „დინამოს“ და სტადიონის ბედით, მაგრამ ძალაუნებურად მათ მიმართ ერთი კითხვა მიჩნდება. რა აზრი აქვს მათ სიარულს კანცელარიის სხდომებზე, ანუ ოცნებას იმაზე, რაც არასდროს მოხდება? ამგვარი ეჭვის საფუძველს აღნიშნული კომიის წევრების კომენტარი მაძლევს.

ჩამოყალიბებული ფარსი

ამ სიტყვებით აფასებს კომისიის შექმნის დღიდან თითოეულ სხდომას გოგი დემეტრაძე და მაინც ჯიუტად ცდილობს თავისას. გოგი დემეტრაძე ერთი ჩვეულებრივი, ფეხბურთზე შეყვარებული კაცია და ბევრსაც არ მოითხოვს — სტადიონი სტადიონს, „დინამო“ „დინამოს“ ჰგავდესო, მაგრამ თვითონაც მშვენივრად იცის, რომ სტადიონი კარგა ხანია, ბაზარს დაეშგავსა და ამ იარლიყს ვერ იშორებს, რომ „დინამოსგან“ სახელიღა დარჩა. აი, რას ამბობს მწარე რეალობით გულშეძრული „ქართლოსის“ პრეზიდენტი: „საქართველოში დღეს ყველა სფეროს ცალკეული ოჯახური კლანები მართავენ, ფეხბურთი ბიზნესია, დიდი ფულია და, ბუნებრივია, გამონაკლისი ამ მხრივ არც ისაა, უდიდესი ფინანსური ინტერესებია გადახლართული სტადიონთან და „დინამოსთან“ დაკავშირებით, არავინ არაფრის დამთმობი არაა. რა უნდა მოვითხოვო ისეთ ქვეყანაში, სადაც სიომა ბარქაიას იძულებულს ხდიან, საზღვარგარეთ გაიქცეს. რა უნდა მოვითხოვო ისეთ ქვეყანაში, სადაც ვიტალი დარასელიას ვაჟს მშობლიური ქვეყნის გუნდში სათამაშოდ ფულს სთხოვენ. ბედად, უმცროს ვიტალის პატრონი გამოუჩნდა კიევის „დინამოს“ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ბესონოვის სახით. რა უნდა მოვთხოვო ისეთ სახელმწიფოს, რომლის წარმომადგენლებს დღემდე ვერ გამოუტანიათ სასიკეთო გადაწყვეტილება ჩვენი ფეხბურთისთვის. რა უნდა ვიფიქრო ამ დროს? აკეთებენ იმას, რაც ხელს აძლევთ. ასეთია დღეს ჩვენი ქვეყანა... საქართველო საზარბაზნე ხორცია და ყველამ უნდა გაიგოს ეს.“

გოგი დემეტრაძე სხდომიდან სხდომამდე ითხოვს, რომ ეროვნულ სტადიონს სიტყვა „ეროვნული“ ჩამოაშორონ. დემეტრაძემ მშვენივრად იცის, რომ „ეროვნულის“ ჩამოშორებას სტდიონის „ეროვნულამდე“ აყვანა სჯობს, მაგრამ ისიც მოეხსენება, რომ ეს შეუძლებელია. ამიტომაც დაუჟინია, შერყვნილ ტაძარს წმინდა სახელი მოაშორონ.

გუშინდელ სხდომაზე, ბუნებრივია, სტადიონზეც იმსჯელეს, იმ სტადიონზე, რომელსაც საფეხბურთო მალე არაფერი შერჩება, იმ სტადიონზე, სადაც დღეს კომფორტულად გაშენებული 102 სავაჭრო ობიექტია და ამათგან 25, სამწუხაროდ, ვეტერანი ფეხბურთელებისაა. სამწუხაროდ იმიტომ, რომ კბილებით იცავენ დღეს ვეტერანები საკუთარ (თითქმის ტრიბუნებზე გასულ) სავაჭრო ობიექტებს...

ვეტერანი ფეხბურთელია ილია დათუნაშვილიც. ხმალამოღებული ამაოდ იბრძვის უკანონობის წინააღმდეგ: „სტადიონს დიდი ფართობი აქვს. კი ბატონო, გარკვეულ ადგილებში შესაძლებელი იყო ამა თუ იმ ობიექტის გაშენება, მაგრამ სად გაგონილა ტრიბუნის ქვეშ ამის გაკეთება, ტუალეტები აიღეს და მაღაზიები ჩადგეს, სირცხვილი არ არის? ადრე თუ გვიან ყველას მოეკითხება... 700-700 დოლარადაა გაყიდული თითოეული სავაჭრო წერტი. გეკითხებით, რატომ? რა უფლებით?“

ილია დათუნაშვილი და გოგი დემეტრაძე

ბაფრი ჯიმილაძის ფოტო

თარგამაძე გვიშველის!

გაოცებული ვუსმენდი, როგორ მსჯელობდნენ ერთი საათის განმავლობაში ძველისძველ, ყელში ამოსულ „სკამების საქმეზე“. გეხსომებათ, სტადიონზე ზღაპრულ ფასად 20 100 სკამი რომ დამონტაჟდა. მაშინ ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თანხების არამიზნობრივად დახარჯვა ძველ ფედერაციას დაბრალდა და ყველა ასე თუ ისე შეეგუა ასლარიან სკამებს. გუშინ რატომღაც კვლავ წამოტივტივდა ეს თემა. მისხალ-მისხალ განიხილეს წინა სხდომებზეც ბევრჯერ გადაღეჭილი საქმე, ბოლოს გოგი დემეტრაძეს ყელში ამოუვიდა ყოველივე და წამოხტა, სკამები კი არა, სტადიონ — „დინამოს“ ბედი მაინტერესებს, იმ უხარისხო სკამებს საერთოდ დემონტაჟი უნდა გაუკეთდესო. დაზმირ ჯოჯუამაც უმალ აიტაცა ეს სიტყვები, სკამების შემსწავლელი კომისია ჩამოვაყალიბოთ და თავმჯდომარე თქვენ იყავითო, შესთავაზა დემეტრაძეს. ამან „ქართლოსის“ პრეზიდენტი აღაშფოთა, ფეხბურთს უშველეთ, სკამებს რა თავში ვიხლიო. ამით ამოიწურა სტადიონთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა და კომისია „დინამოსთან“ დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას შეუდგა.

დაისვა კითხვა — როგორ ითამაშებს „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში, თუ იურიდიულად არ არსებობს. აი, რას ფიქრობს ამაზე სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია: „ეს პრობლემა არ არის, ბოლოს და ბოლოს, „დინამოს“ საბჭოს თხოვნის საფუძველზე გუნდს (და არა კლუბს) ჩემპიონატში ჩავრთავთ. მაგრამ შესაძლოა ამის საჭიროება არც იყოს, რადგან 3 აგვისტოს ფიფა თავის ვერდიქტს გამოტანს. იგი, ალბათ, მკაცრი იქნება და „დინამოს“ დისკვალიფიკაცია არ ასცდება.“ პირადად მე ჩოლარიას სიტყვები ისე გავიგე, რომ მოსალოდნელ ქარიშხალს მშვიდად უნდა შევხვდეთ. თავს ვერ დვდებ, რომ ჩოლარიას აზრს ბოლომდე ჩავწვდი, მაგრამ მსგავსი შთაბეჭდილება შეექმნა სფფ-ს ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძესაც: „ასეთ სიტყვებს როგორ კადრულობთ, ბატონო ვალერი, ვისხდეთ და ველოდოთ „დინამოს“ დასამარებას? არადა, „მრეტებისთვის“ ვალის გადახდის შემთხვევაში ამის საშიშროება არც დადგება. ის უფრო არ არის გამოსავალი, „მრეტების“ ვალი გავისტუმროთ და ფიფას რისხვა თავიდან ავიცილოთ?“ — აღელვება ვერ დაფარა ანდრიაძემ.

აქ კი დაისვა მორიგი კითხვა — ვინ დაფარავს ვალს?

ამ კითხვას სფფ-ს გენერალურმა მდივანმა კატეგორიულად უპასუხა: „სფფ-ს აღნიშნული ვალის დაფარვის არანაირი საშუალება არ გააჩნია. ერთადერთი გამოსავალი გრანტის აღებაა. იქნებ 50 000 დოლარი აგვაღებინა, ამ ფულით „მრეტებს“ დროებით შევაჩერებდით და ფიფასაც გულს მოვულბობდით.“

ნოდარ ანდრიაძე: „მთავრობას, შინანაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით უნდა მივმართოთ, რომ როგორმე გრანტი გამოყოს, თორემ სირცხვილს ვერ გადავურჩებით.“

ვაუა კიკნაძე: „ასეა, ამ საქმეს კახა თარგამაძე თუ უშველის.“

აი, ასე, კაციშვილს არ მოსვლია აზრად ის, რაც გოგი დემეტრაძემ გაანაცხადა: „რა გრანტზე საუბრობთ, დალოცვილებო, იმ პერიოდში „დინამოს“ პრეზიდენტი ჰყავდა. მისი შემწეობით გაიჩარხა ქინქლაძის ტრანსფერი. მანვე იკისრა ვალდებულები „მრეტებთან“ დაკავშირებით. რა არის აქ საკითხავი, ვალი ვინც დაიდო, იმან უნდა გადაიხადოს.“

სფფ-ს რაღა?

დღემდე ასე ვიცოდით, რომ ჯერ-ჯერობით კვლავაც ეროვნულად წოდებული სტადიონის საკონტროლო პაკეტს თბილისის მერია, „დინამო“ საბჭო და ფეხბურთის ფედერაცია ინაწილებდნენ. მათი წილის ზუსტ პროცენტულ მაჩვენებელზე სხვადასხვაგვარი მოსაზრება იყო. ზოგის აზრით, „დინამოს“ დანარჩენებზე ბევრად მეტი ჰქონდა, სხვა ვერსიით, მეპატრონეთა შორის მერია ლიდერობდა, ზოგი კი პირველობას ფედერაციას მიაწერდა. თუმც ასეთები ცოტანი იყვნენ. საერთო თვალსაზრისით, „დინამოსა“ და მერიის წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფედერაციისას.

სახელმწიფო კომისიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სამი თვის მუშაობის შემდეგ შეძლო სტადიონის აქციების მეპატრონეთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა. შედეგს არ იკითხავთ? აღმოჩნდა, რომ მერია საკონტროლო პაკეტის 65 პროცენტს ფლობს, 35 პროცენტი კი „დინამოს“ საბჭოს კუთვნილება ყოფილა. ფედერაციას რაო — იკითხავთ. არც არაფერი. არც ერთი საბუთი არ არსებობს ისეთი, სადაც სფფ-ს კუთვნილი თუნდაც ერთი პროცენტი იყოს აღნუსხული სტადიონის წილში.

პროცენტული მაჩვენებლების გაცნობისას გაცხადდა, რომ გადამწყვეტი ხმის უფლება მერიას აქვს. არიქა, გვეშველაო, იტყვით, სახელმწიფოს გადასაწყვეტი ყოფილა ეს საკითხიო, მაგრამ... ნუ აჩქარდებით. არც ერთ დოკუმენტში არ წერია ის, რომ მერიის ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში მერია თავად რჩება პრობლემასთან შეჭიდებული, მაგრამ დაუბრუნებს კი ბაზარს სტადიონის სახეს? გამოდის, „ეროვნულის“ „გაბაზრების“ პროცესი მერიის დაწყებულია, სწორედ იქ ეყრებოდა საფუძველი სტადიონის ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტების მშენებლობას (რაც დღესაც წარმატებით გრძელდება) და ახლა თავად განსაჯეთ, დაშლის კი მერია მის მიერვე აწყობილს?...

მომავალ სერიამდე

რამდენად ნაყოფიერი იყო სახელმწიფო კომისიის გუშინდელი საქმიანობა, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია. სხდომის ბოლოს კომისიის წევრთა უმრავლესობა ჩვენს თხოვნაზე, სამუშაო დღისთვის კომენტარი გაეკეთებინათ, მხრებს იჩეჩდა, აბა, რა გითხრათ, ჯერ არაფერი გარკვეულაო.

გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ ბაზარი დღითიდღე ფრთებს შლის, „დინამო“ ფსკერზე ეშვება, კომისიას კი კვლავაც სამუშაო აქვს, წინ მორიგი სხდომაა. პირველ აგვისტოს ერთხელაც შეიკრიბებიან ქართული ფეხბურთის ჭირისუფალნი, მაგრამ არა გვგონია, რაიმე გადაწყვიტონ. უეჭველია, მერაბ რატიანთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი თავის კვალს დაატყობს სახელმწიფო კომისიის მუშაობას.

პაატა ძვანტალიანი

რატიანი დუმს და ასაჩივრებს

მერაბ რატიანი

ვაშაძე დელეგაციის ფოტო

ახალი სკანდალი ქართულ ფეხბურთში გრძელდება. კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ ბრალდებული და პატიმრობაში მყოფი ს.კ. „დინამოს“ პრეზიდენტის მერაბ რატიანის ადვოკატმა გუშინ ზემოთ ნახსენები სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა. შეგახსენებთ, სონღულაშვილმა განაჩენი 23 ივლისს, დახურულ სხდომაზე გამოიტანა. კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რატიანს სხვისი ქონების მისაკუთრება-გაფლანგვაში დაედო ბრალი და გამოძიების დასრულებამდე სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა.

კანონით ბრალდებულის მხარეს განაჩენი 48 საათში უნდა გაესაჩივრებინა და ასეც მოხდა.

— რატიანის ადვოკატმა კანონით განსაზღვრულ ვადაში გაასაჩივრა ჩვენს მიერ გამოტანილი განაჩენი. ახლა საქმე საოლქო სასამართლოს გადაეცემა — გვითხრა გუშინ მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა.

საოლქო სასამართლო რატიანის საქმესთან დაკავშირებულ მასალებს მოსამართლე სონღულაშვილისგან დღეს მიიღებს.

მერაბ რატიანი კი კვლავაც შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორშია და კანონით გათვალისწინებული დუმილის უფლებით სარგებლობს.

პაატა ძვანტალიანი

ო, ბრაზილია, ო, საწყალო

ბრაზილიელები რივალდო, სეზარ სამპაიო და ვანდერლეი ლუქსემბურგო

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

სამხრეთ ამერიკა

სადღაც გაქრა მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს შემტევი ფილოსოფია, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ეს ამბიციური კაცი, სანამ რიოს კლუბებს მოძღვრავდა.

დღეს ვანდერლეი ლუქსემბურგო ყოველწამიერად იქცევა ბრაზილიელთათვის საძულველ ადამიანად. ერთიან ლათინოამერიკულ შესარჩევ ჯგუფში ბრაზილიის ნაკრები მეხუთე ადგილზეა ორი მათხოვრული მოგებით, ორი საცოდავი ფრით და ერთი სამარცხვინო წაგებით პარაგვაელებთან. ჯგუფის ლიდერი არგენტინა რვა ქულით უსწრებს მარადიულ მტერს და სან პაულუში სტუმრობს მრავალმხრივ ისტორიულ მატჩში, რადგან ცნობილია — ბრაზილიელები და არგენტინელები არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში.

პელე შემადგენლობის გამო ლანძღავს ლუქსემბურგოს, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა ულტიმატუმებით ელაპარაკება მწვრთნელს. „ოგლობო“ წერს, რომ ყოველი ათი ბრაზილიელიდან ექვსი, გასულ კვირაში მწვრთნელის გადადგომას მოითხოვდა. კაფუ ამბობს, რომ ამ გუნდში თამაშს აზრი არა აქვს.

ეჰ, კაფუ, კაფუ...

თავად ლუქსემბურგო კი აცხადებს (სხვა რა დარჩენია?), რომ აუცილებლად მოუგებს არგენტინას.

საზიზღარი, უსისხლო, უხეში გუნდი ხვალ მოედანზე გავა. და იცით რას ნიშნავს შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილზე გასვლა? მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ტეტრაკამპიონი საკვალიფიკაციო პლეი ოფში შეხვდეს კონკაკაფის რომელიღაც მათხოვარს და იქ ამტკიცოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ღირსია. მეტი სირცხვილი წარმოუდგენელია.

ოცდაერთი წელიწადია ბრაზილიელებს პარაგვაისთან არ წაგვოთ. „იმ შეხვედრის პირველი ტაიმის ცქერას სიკვდილი მერჩივნა“, — ამბობს ტეიშეირა.

მცველი ანტონიო კარლოსი, რომელსაც ასუნსიონში არ უთამაშია და რომელიც არგენტინის წინააღმდეგ ბრაზილიელთა კაპიტანი იქნება, იმავ პარაგვაისთან გაძევებული და შემდეგ გუნდიდან მოკვეთილი კაფუს არყოფნის გამო, თანაგუნდელებს აკრიტიკებს:

„როცა ყვითელი მაისურა გაცვია, ფეხი უნდა გაანძრიო“.

ეს არცთუ კარგად მოქმედებს ფეხბურთელებზე, მაგრამ კრიზისის დროს...

დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ძირითადში იქნება ნახევარმცველი ემერსონ ფერეირა, რომელსაც ასევე არ უთამაშია პარაგვაელთა წინააღმდეგ. ბრაზილიელი ჟურნალისტები თვლიან, რომ სწორედ ეს ემერსონ ფერეირა გახლავთ არგენტინელებთან თამაშის მთავარი პრობლემა. ის ჩამშლელია და არა შემოქმედი, ხალხი კი შემტევ ნახევარმცველებს ითხოვს.

სან პაულუში ჩასული არგენტინელთა მწვრთნელი მარსელო ბიელსა კი ჩვეულ სასტარტო შემადგენლობას გამოიყვანს. იძულებითი გამონაკლისი ერთადერთი იქნება, დაშავებული გაბრიელ ბატისტუტას ადგილს ერნან კრესპო დაიჭერს.

კაპასი ბრაზილიელი ჟურნალისტები არგენტინული სტაბილურობისკენ მიუთითებენ ლუქსემბურგოს, რომელსაც შემადგენლობის ძირეული ცვლა ავადმყოფობად ექცა.

ხვალ...

თუმცა, ხვალ, ვანდერლეი ლუქსემბურგო ეგებ აღარც არსებობდეს.

ირაკლი გამყრელიძე

ბრაზილია — არგენტინა ბოლო 10 წლის განმავლობაში

24.06.1990	ტურინი. მსოფლიო ჩემპიონატი	0:1
27.03.1991	ბუენოს აირესი. ამხანაგური	3:3
27.06.	კურიტიბა. ამხანაგური	1:1
17.07.	სანტიაგო. კოპა ამერიკა	2:3
18.02.1993	ბუენოს აირესი. ამხანაგური	1:1
27.06.	გუაიაკილი. კოპა ამერიკა	1:1(5:6 პ)
23.03.1994	რესიფე. ამხანაგური	2:0
17.07.1995	რივერა. კოპა ამერიკა	2:2(4:2პ)
08.11.	ბუენოს აირესი. ამხანაგური	1:0
29.04.1998	რიო დე ჟანეირო. ამხანაგური	0:1
11.07.1999	სიუდად დელ ესტე. კოპა ამერიკა	2:1
04.09.	ბუენოს აირესი. ამხანაგური	0:2
07.09.	პორტუ ალეგრი. ამხანაგური	4:2

არგენტინელები დიეგო სიმეონე და ერნან კრესპო

ფეხბურთის რუკასთან

პორტუგალიის ჩემპიონ ლისაბონის „სპორტინგს“ „პარმას“ ნახევარმცველის, დინო ბაჯოს შეძენა სურს. 29 წლის ფეხბურთელს „მიდლსბრო“ და „ჩელსიც“ ეპატიჟებიან. თუ „პარმამ“ დინოს ახალი კონტრაქტი არ შესთავაზეს იგი, ალბათ, გუნდს დატოვებს. იტალიური სააგენტოების ცნობით, ლისაბონური კლუბი პარმელებს ბაჯოს სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. „პარმა“ იუგოსლავიელ ფორვარდ საკო მილოშევიჩით დაინტერესდა და თანახმაა, „სარაგოსას“ 21 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. პარმელები ცოტა ხნის წინ „ლაციოში“ გადასული არგენტინელი ერნან კრესპოს შემცვლელს ეძებენ. არ არის გამორიცხული, მათ „ბორდოს“ ფრანგი ფორვარდი სილვენ ვილტორდი ან „ქოვენთრის“ ირლანდიელი თავდამსხმელი რობი კინი გადაიბირონ.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა „რომასთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და ახალ სეზონს, ალბათ, სერია A-ში დაიწყებს. რომაულმა კლუბმა „ლევერკუზენს“ საკომპენსაციოდ 10,2 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს. სააგენტოების ცნობით, ბრაზილიელი იტალიაში რამდენიმე დღეში ჩავა, მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ითამაშებს.

გერმანელი ნახევარმცველის, შტეფან ეფენბერგის განცხადებით, იგი უახლოეს დღეებში გადაწყვეტს, დათანხმდება თუ არა რუდი ფიოლერის შეთავაზებას. „ფიოლერმა ბუნდესნაკრებში თამაში შემომთავაზა. ცოტა უნდა დავფიქრდეთ, რამდენიმე დღეში, ალბათ, ყველაფერს გადავწყვეტ“ — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელმა, რომელიც ნაკრებში 1998 წლის შემდეგ აღარ თამაშობს.

ინგლისის პირველდივიზიონელ „ფულემის“ ფრანგ მწვრთნელ ჟან ტიგანას გუნდში ლიბერიელი ფორვარდის, ჟორჟ ვეას მიწვევა სურს. „ძლიერი ფეხბურთელები გვჭირდება, რათა პრემიერლიგაში გადავიდეთ. ვეა გამოცდილი მოთამაშეა, „მილანის“ ხელმძღვანელებთან მალე დავიწყებთ მოლაპარაკებას. არ არის გამორიცხული, ლიბერიელი ჩვენთან გადმოვიბიროთ“ — განაცხადა „ფულემის“ მენეჯერმა მაიკლ რიდიმ. ჯერჯერობით უცნობია, რამდენს სთავაზობს „ფულემი“ „მილანს“. ისიც გავიხსენოთ, რომ ვეასთვის „მონაკო“ და „ბოლონიაც“ იბრძვიან.

ნიგერიელი ჯორჯ ფინიდი ახალ სეზონს, ალბათ, „მალიორკაში“ დაიწყებს. პრემიერადივიზიონიდან გავარდნილი „ბეტისი“ ფეხბურთელს 2,3 მილიონ გირვანქად ყიდის. ფორვარდმა „მიდლსბროსა“ და „ჩელსისგანაც“ მიიღო წინადადებები, მაგრამ „მალიორკას“ ამჯობინებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, ფეხბურთელი მალე სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ახალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

იტალიურ „ინტერს“ „ჩელსიდან“ ფრანგი მცველის, ფრანკ ლებეფის და ნახევარმცველის, დიდიე დეშამპის გადაბირება სურს და ევროპის ჩემპიონებთან მალე მოლაპარაკებასაც დაიწყებს. მოგეხსენებათ, ლებეფს „ნაპოლიმაც“ დაადგა თვალი. იმასაც ამბობენ, ფეხბურთელი, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდესო. დეშამპი კი მარჩელო ლიპის ყოფილი შეგირდია. ფრანგი „იუვენტუსში“ თამაშობდა, როცა ტურინულ კლუბს ლიპი წვრთნიდა.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშით, როი კინით „ინტერი“ დაინტერესებულა და მის სანაცვლოდ ერთობ სოლიდურ თანხას, 20 მილიონ გირვანქას იხდის. შეგახსენებთ, რომ კინმა „იუნაიტედთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, იგი გუნდის ყველაზე მაღალახელფასიანი ფეხბურთელია და კვირაში 52 ათას გირვანქას იღებს. არც ნახევარმცველს, არც „მანჩესტერის“ ხელმძღვანელებს მილანური კლუბის შემოთავაზებებზე არაფერი განუცხადებიათ. როი კინი „იუნაიტედში“ 1993 წლიდან თამაშობს, იქ კი „ნოტინგემ ფორესტიდან“ გადაბარგდა.

ბერძნულმა „პანიონისმა“ „მილანისგან“ 1,4 მილიონ დოლარად ლიბერიელი ფორვარდი ზიზი რობერტსი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელს საბერძნეთში ადრეც უთამაშია, „მილანმა“ იგი წინა სეზონში „იონიკოსში“ გაანათხოვრა.

რუსი მცველი ალექსეი სმერტინი საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურს, ალბათ, გამოტოვებს. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილმა და „ბორდოს“ ამჟამინდელმა ფეხბურთელმა „სელტიკთან“ 4:2 მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაში ზურგი დაიზიანა და მე-10 წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ექიმები სმერტინს კიდევ გასინჯავენ, თუმცა საეჭვოა, 29 ივლისს „მეცთან“ თამაშის უფლება მისცენ.

იტალიელი ნახევარმცველი ანტონიო კონტე, შესაძლოა „სანდერლენდში“ გადავიდეს. „იუვენტუსის“ 30 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილი პრემიერლიგული კლუბის თავკაცმა პიტერ რიდმა გამოთქვა. კონტემ ტურინულ გუნდში 10 წელი გაატარა. იგი „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანია. ინგლისური სააგენტოების ცნობით, წინასწარ სატრანსფერო თანხა 3,5 მილიონი გირვანქაა. „სანდერლენდში“ 19 წლის არგენტინელი მცველი ხულიო არჯა ჩაირიცხა. პრემიერლიგურმა კლუბმა ფეხბურთელი „არნენტინოს ხუნიორსიდან“ გადაიბირა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხა 5,3 მილიონი დოლარია. პიტერ რიდი ახალი შეთანხმებით კმაყოფილი დარჩა, მან განაცხადა: „არკას თამაში არგენტინა—ინგლისს 21-წლამდელთა ნაკრებების შეხვედრაში ვანხე ძალიან მომეწონა და ვიმედოვნებ, „სანდერლენდში“ კიდევ უფრო მოუმატებს.“

ესპანელი ნახევარმცველის, ხერარდ ლოპესის შესაძენად „მილანი“ 16 მილიონ დოლარსაც არ იშურებს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმა გაავრცელა, თუმცა ხერარდის ამ ფასად გაყიდვას „ვალენსია“ უარობს, იგი ნახევარმცველის სანაცვლოდ სულ მცირე 20 მილიონ დოლარს ითხოვს. ხერარდის გადაბირება კატალონიურ გრანდ „ბარსელონასაც“ სურს.

ინგლისურმა „ევერტონმა“ „ჰამბურგისგან“ დანიელი ნახევარმცველი ტომას გრავესენი იყიდა. ეს უოლტერ სმიტის გუნდს 3,8 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამგვარად, მოთამაშეების შესაძენად ლივერპულელებმა უკვე 22,7 მილიონი დოლარი დახარჯეს. შეგახსენებთ, რომ „ევერტონმა“ ახალი სეზონის დაწყებამდე პოლ გესქოინი, სტივ უიტსონი, იტალიელი მცველი ალესანდრო პისტონე, განელი ალექს ნიარკო და შვედი ნახევარმცველი ნიკოლას ალექსანდერსონი შეიმატა. კლუბი კი ნიკ ბარმბიმ დატოვა, იგი „ლივერპულში“ გადავიდა.

უკრაინელი „შახტარის“ წამყვანმა ნახევარმცველმა ოლეგ პესტროკოვმა ფეხი მოიტეხა და სულ ცოტა წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს. „საჭირო მოთამაშე დავკარგეთ, რაც ძალიან სამწუხაროა. ჩემპიონთა ლიგის მატჩები კარს მოგვადგა, ნამდვილად დიდი დანაკლისია“ — განაცხადა დონეცკის გუნდის თავკაცმა ვიქტორ პროკოპენკომ. შეგახსენებთ, რომ „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობს. მისი მეტოქე ესტონური „ლევადიაა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერისხული ლუიშ ფიგუ

მას ღმერთი დასჯის, ამბობენ კატალონიელები

მადრიდელებს ახალი კერპი ჰყავთ — ლუიშ ფიგუ, კაცი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ანტირეალურ სიმღერებს აგუგუნებდა. მაგრამ ეს არაფერი, გუშინდელ დღეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ფიგუ რეალელია, მისი ბარსელონური წარსული კარგიც კია, მარად მოქიშპეს ნიშანს მოუგებენ.

მაგრამ მადრიდის გარდა არის ბარსელონაც. იქაურებმა კი უკვე დაივიწყეს ყველაფერი ის, რაც ფიგუს „ბარსასთვის" გაუკეთებია. რისხვა — ერთი სიტყვით ასე თუ დაახასიათებ კატალონიელთა ყოფილი კერპისადმი დამოკიდებულებას.

სამშაბათს „ბარსელონას" ფან-კლუბის ოფისში შესული კაცი იფიქრებდა, რემონტი დაუწყიათო. სინამდვილეში კი იქ ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც ლუიშ ფიგუსთან არის დაკავშირებული. მეტიც, ამიერიდან კლუბის ქომაგთა თავმოყრის ადგილას პორტუგალიელის სახელის ხსენებაც იკრძალება. როცა ფიგუ „სანტიაგო ბერნაბეუზე" 10-ნომრიან მაისურას იზომებდა, აღნიშნული კლუბის თავმჯდომარეს გამწარებულს უყვირია: „ეს მეტისმეტია, მას ღმერთი დასჯის." მერე რა, რომ პირველი ენებათაღლეგა ჩაცხრა, თავმჯდომარე კვლავ იმავე სიტყვებს იმეორებს: „მას ღმერთი დასჯის," აღსანიშნავია, რომ ეს მთელი კატალონიის საერთო აზრი და სურვილია.

სადაც კლუბის ქომაგები, იქაც მისი პრეზიდენტი. 23 ივლისს არჩევნებმოგებულ ხუან გასპარს მეორე დღეს საზეიმოდ არ ეცალა. რაღა დარჩენია გასპარს, ვისაც „რეალმა", დაუძინებელმა მტერმა, სუპერვარსკვლავი წაართვა? „ადამიანს ცხოვრებაში ხშირად უწევს ბეწვის ხიდზე გავლა. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ წონასწორობა დაიცვა და არ გადავარდე. ფიგუს შეეშალა, ის უკვე გადავარდა. „რეალში" გადასვლით რასაც მოიგებს, ვნახავთ. რატომ? დოკუმენტი, რომელსაც ლუიშ ფიგუმ და ფლორენტინო პერესმა მოაწერეს ხელი, ამორალურია. რაც მათ გააკეთეს, არასდროს დამავიწყდება." ეოვა დრო და ფიგუს თავისი საქციელისთვის მოეკითხება.

კატალონიელი გულშემატკივრებისა და „ბარსელონას" პრეზიდენტის ასეთი რეაქცია სავსებით გასაგებია. თუმცა, ალბათ, უფრო საინტერესო უნდა იყოს პორტუგალიელის ძველი მეგობრების მოსაზრება. მათაც რა ქნან, ძმაკაცზე აუგის თქმა უჭირთ, მეორე მხრივ, გადაჭედილი „კამპ ნოუს" წინაშე წარდგომა მოუწევთ და ფრთხილობენ.

ხოსეპ გვარდიოლა მარტო დარჩა. ის და ფიგუ „ბარსელონას" ცოცხალი სიმბოლოები იყვნენ, ახლა კი... „ბარსას" კაპიტანი ამბობს: „კომენტარის გაკეთება მიჭირს. გარკვეული დრო მჭირდება, რათა თეთრფორმიანი ლუიში წარმოვიდგინო. მან აირჩია ის გზა, რომელიც სწორად მიაჩნდა და მისი ოჯახისთვის ხელსაყრელი იყო. ისღა დამრჩენია, ლუიშის გადაწყვეტილება მივიღო ისეთად, როგორიც არის."

გვარდიოლასთან შედარებით სერხი უფრო კრიტიკულია: „ქომაგთა თვალთახედვით მადრიდის „რეალი" ყველაზე ცუდი გუნდია, სადაც ფეხბურთელმა შეიძლება ითამაშოს. საინტერესოა, როცა „კამპ ნოუზე" მადრიდელები გვესტუმრებიან, როგორ შეგვხედავს ფიგუ თვალებში? მასზე ცუდის თქმა მიძნელდება, მაგრამ თავად გარკვეულ უხერხულობას უნდა გრძნობდეს."

22 ოქტომბერი ესპანეთში დიდი დღე იქნება — „კამპ ნოუზე" „რეალი" და ფიგუ ჩავლენ. აბა, თამაში ის იქნება!

თუმცა 22 ოქტომბრამდე ჯერ საკმარისი დროა. ლუიშ ფიგუს სერხის სიტყვებზე ჩასაფიქრებლად ჯერ არ სცალია — როგორ შეხვდება ძველ მეგობრებს და ყოფილ ქომაგებს, რომლებიც დღეს მას წყევლიან? ახლა ის ბედნიერია: „მინდა, „რეალთან" ერთად უამრავი ჯილდო მოვიგო. დარწმუნებული ვარ, მადრიდშიც ისეთივე დაუვიწყარი წლები მელის, როგორიც ბარსელონაში გავატარე. გპირდებით, თავს არ დაეზოგავ."

რაც შეეხება ლუიშ ფიგუს მადრიდულ მომავალს, ამაზე ბევრჯერ ითქვა და ერთხელაც გავიმეოროთ: „ბარსელონასთვის" გადახდილი 56 მილიონი დოლარი, ექვსწლიანი კონტრაქტი, 4,49 მილიონი დოლარი წლიური ხელფასი (გადასახადის გარეშე). ხოლო ვინც „რეალისთვის" ფიგუს წართმევას მოინდომებს, 168 მილიონს გადაიხდის. ესეც ფიგუ!

გიორგი დარჯანია

ლუიშ ფიგუ

დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს, ლისაბონში (პორტუგალია)
1989: მოიგო 16-წლამდელთა ნაკრებების მსოფლიოს ჩემპიონატი
1990: ითამაშა სადებიუტო მატჩი ლისაბონის „სპორტინგში"
1991: მოიგო 20-წლამდელთა ნაკრებების მსოფლიოს ჩემპიონატი, იმავე წელს ჩაატარა სადებიუტო შეხვედრა პორტუგალიის ნაკრებში, ლუქსემბურგის წინააღმდეგ
1992: გაიტანა პირველი გოლი პორტუგალიის ნაკრებში, პორტუგალიამ დაამარცხა ბულგარეთი 2:1
1995: ივნისში გააფორმა კონტრაქტი „ბარსელონასთან". კატალონიურ კლუბს მაშინ იოჰან კრუიფი ხელმძღვანელობდა
სექტემბერში ჩაატარა სადებიუტო მატჩი „ბარსელონაში" „მერიდას" წინააღმდეგ (2:2)
1997: მოიგო ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი „ბარსელონას" შემადგენლობაში
1998: მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, მოიგო ესპანეთის თასი და ევროპის სუპერთასი
1999: გახდა ესპანეთის ჩემპიონი. სეზონში გაიტანა 7 გოლი. „ფრანს ფუტბოლის"გამოკითხვაში დასახელდა მსოფლიოს წლის მეხუთე საუკეთესო ფეხბურთელად
2000: ბოლო სეზონი „ბარსელონაში", ჩაატარა 32 შეხვედრა, გაიტანა 9 გოლი. ჯამში კატალონიურ კლუბში ითამაშა 172 მატჩი, გაიტანა 30 გოლი
ევრო 2000-ზე გაიტანა გოლი ინგლისის ნაკრების კარში. პორტუგალიის ნაკრები ნახევარფინალში მოხვდა
24 ივლისი გააფორმა კონტრაქტი მადრიდის „რეალთან", დამყარდა მსოფლიო სატრანსფერო რეკორდი, მადრიდულმა კლუბმა კატალონიურს ფიგუს სანაცვლოდ 56,1 მილიონი დოლარი გადაუხადა

„მარკას" თავფურცელზე ფიგუს და გასპარის ფოტოები გვერდი-გვერდაა, ცხოვრებაში კი მათი გზები გაიყარა

მსოფლიოს უძვირესი ტრანსფერები

ლუიშ ფიგუ	2000	ბარსელონა (ესპანეთი)	რეალი, მადრიდი (ესპანეთი)	56,1 მლნ $
ერნან კრესპო	2000	პარმა (იტალია)	ლაციო (იტალია)	54,1
კრისტიან ვიერი	1999	ლაციო (იტალია)	ინტერი, მილანი (იტალია)	50,0
ნიკოლა ანელკა	1999	არსენალი (ინგლისი)	რეალი, მადრიდი (ესპანეთი)	35,7
დენილსონი	1997	სან პაულუ (ბრაზილია)	ბეტისი (ესპანეთი)	35,0
გაბრიელ ბატისტუტა	2000	ფიორენტინა (იტალია)	რომა (იტალია)	33,8
ამორუზო	1999	უდინეზე (იტალია)	პარმა (იტალია)	33,1
ნიკოლა ანელკა	2000	რეალი, მადრიდი (ესპანეთი)	პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)	31,2
კრისტიან ვიერი	1998	ატლეტიკო, მადრიდი (ესპანეთი)	ლაციო (იტალია)	28,0
რონალდო	1997	ბარსელონა (ესპანეთი)	ინტერი, მილანი (იტალია)	27,9
რივალდო	1997	დეპორტივო (ესპანეთი)	ბარსელონა (ესპანეთი)	26,7
ანდრეი შევჩენკო	1999	დინამო, კიევი (უკრაინა)	მილანი (იტალია)	25,0
ალან შირერი	1996	ბლექბერნი (ინგლისი)	ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)	23,3
ჯანლუიჯი ლენტინი	1992	ტორინო (იტალია)	მილანი (იტალია)	21,5
დუაიტ იორკი	1998	ასტონ ვილა (ინგლისი)	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)	20,5
რონალდო	1996	ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	ბარსელონა (ესპანეთი)	20,0
მარსელო სალასი	1998	რივერ პლეიტი (არგენტინა)	ლაციო (იტალია)	19,7
ხუან სებასტიან ვერონი	1998	სამპდორია (იტალია)	პარმა (იტალია)	19,7
ჯანლუკა ვიალი	1992	სამპდორია (იტალია)	იუვენტუსი (იტალია)	19,6

რას ერჩოდა ფერგიუსონი ბექემს?

ალექს ფერგიუსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა სულ ახალახნ საქვეყნოდ გაამხილა, თუ რატომ არ ათამაშა დევიდ ბექემი წინა სეზონში „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ პრემიერლიგის შეხვედრაში. გეხსომებათ, ვისაც არა და შეგახსენებთ — ნახევარმცველმა წინასამატჩო ვარჯიში გამოტოვა, მიზეზად კი თავისი ჩვილის ავადმყოფობა დაასახელა. თებერვალში, როცა პატარა ბრუკლინს წელიწადიც არ შესრულებოდა, იგი ავად შეიქნა. დევიდს გულმა ვერ გაუძლო, მთელი ღამე ძის სასთუმალთან გაათია, მეორე დღეს კი იძულებული გახდა, ვარჯიში გაეცდინა.

თითქოს საპატიო მიზეზია, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ დროს, როცა დევიდი ბრუკლინს თავს დასტრიალებდა, მისის ბექემი, ანუ ბრუკლინის დედა და დევიდის მეუღლე, იგივე „სპაიზ გელზის" სოლისტი, ლონდონში მაღალი მოდის ჩვენებას ესწრებოდა.

ამან უკვე ყველა დაეჭვა. გამოცდილ სერ ალექსს კი რას გამოაპარებ. მწვრთნელმა სამსახურში გამოცხადებული დევიდი ვარჯიშზე არ დაუშვა.

ატყდა პრესაში აურზაური, ბექემმა „მანჩესტერ იუნაიტედზე" გული აიყარაო. იმხანად დევიდის გადაბირებას მსოფლიოს გრანდ კლუბთა უმეტესობა ცდილობდა, ჰოდა, ერთი კვირის მანძილზე რა ჭორს აღარ გაიგონებდით — „მილანი" ბექემს ყიდულობსო, ნახევარმცველს „ბარსელონადან" და „ლაციოდან" დაუკავშირდნენ და ერთ-ერთ მათგანთან კონტრაქტს აუცილებლად გააფორმებსო და ასე შემდეგ...

თუმცა საბოლოოდ სერ ალექსი და ბექემი შერიგდნენ. ფეხბურთელი ახლა კვლავ „მანჩესტერში" თამაშობს და როგორც ირკვევა, წასვლას არსად აპირებს. „იუნაიტედის" ახალი დირექტორი პიტერ კინინიც ადასტურებს, ბექემს არასდიდებით არ გავყიდიო.

ახლა კი ის ვთქვათ, რატომ გავიხსენეთ კარგა ხნის მივიწყებული ამბავი.

სერ ალექს ფერგიუსონი თავისი ავტობიოგრაფიული ნაშრომის განახლებას და მემუარებით შევსებას აპირებს, თებერვლის ინციდენტიც ამისთვის დასჭირდა. მისივე თქმით, რომ არა წიგნი, იგი ყველაფერს დაივიწყებდა და არც საქვეყნოდ გამომაზეურებდა.

მოკლედ, სერ ალექსმა ექვსი თვის შემდეგ ახსნა, თუ რატომ არ დაუშვა დევიდ ბექემი ვარჯიშზე. ყველაფერი ძალიან მარტივია — თურმე მწვრთნელს ბექემისთვის იმ დღეს ვარჯიშის უფლება რომ მიეცა, ამით სხვა ფეხბურთელებს უსამართლოდ მოექცეოდა.

„ვგონებ, მაშინ დევიდი თანაგუნდელებთან მართალი არ იყო. ფილ ნევილი, ნიკი ბატი, ოლე გუნარ სოლსკიაერი ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებიან, მაგრამ მონდომებით ვარჯიშობენ. მაშინ დევიდისთვის ყველაფერი რომ მეპატიებინა, სხვებს, შესაძლოა სწყენოდათ და მათთან პირნათელი არ ვიქნებოდი — განაცხადა სერ ალექსმა და დასძინა — მესმის, რომ ბრუკლინი ავად გახდა და ამან დევიდი აიძულა, ღამე გაეტეხა, მაგრამ რას აკეთებდაა ამ დროს მისის ვიქტორია?... მოკლედ, ყველაფერი საეჭვო იყო. სასიხარულოა, რომ მან გამიგო და ეს ინციდენტი დავიწყებას მიეცა. ჩვენ კვლავ ერთიანი ძლიერი კოლექტივი ვართ. ეს უსიამოვნო შემთხვევა დღეს არავის ახსოვდა, უბრალოდ ჩემი ავტობიოგრაფიული წიგნებისთვის დამჭირდა და მოვიგონე".

ნიკა ზუბლაძე

პიერლუიჯი კაზირაგი

პიერლუიჯი კაზირაგი ჩელსის ხელმძღვანელებს უკმაყოფილოა და სერჯო კრანიოტის მმადლიერება

„ჩელსის“ იტალიელი ფორვარდი პიერლუიჯი კაზირაგი უკვე კარგა ხანია, დაშავებულია და ვერ თამაშობს. მას უმკურნალეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით უშველეს, ბოლო ოპერაცია კაზირაგიმ ერთი კვირის წინ ბოლონიაში ჩაიტარა. ფეხბურთელი ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ ლონდონური კლუბის დირექტორატი ყურადღებას არ აქცევს.

„ხელმძღვანელობიდან თითქმის არავინ დამხმარებია — წუხს იტალიელი — „ჩელსის“ ოფიციალური წარმომადგენლები და კლუბის ექიმები არც კი შემეხმიანნენ. თანაგუნდელები კი პირიქით, გამუდმებით მირეკავენ და ჩემს მდგომარეობას კითხულობენ. ჯანლუკა ვიალიც მესაუბრა და გამოჯანმრთელება მისურვა, კლუბის მენეჯერები და ოფიციალური წარმომადგენლები კი დუმან“.

„ლაციოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ურთულესი ტრავმა პრემიერლიგის ერთ-ერთ მატჩში, „ვესტ ჰემის“ მეკარე შაკა ჰისლოპთან შეტაკებისას მიიღო. კაზირაგი უკვე კარგა ხანია, ტრავმისგან იტანჯება, თუმცა იმედოვნებს, რომ ფეხბურთს კიდევ ითამაშებს.

„ვგონებ, თამაშს კიდევ შევძლებ. მართლაც ბევრი ვიწვალე, რამდენიმე რთული ოპერაცია ჩავიტარე, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. თუმცა გამოგიტყდებით, ტრავმამ ძალიან იმოქმედა. მეგობრები მეხმარებიან და მამხნევებენ. მსიამოვნებს, როცა ჩემი ძველი თანაგუნდელი ლაციოელები მომიკითხავენ-ხოლმე. რომაული კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი ძალიან გულთბილად მეპყრობა, რასაც, სამწუხაროდ, „ჩელსის“ მენეჯერებზე ვერ ვიტყვი“ — განაცხადა 31 წლის ფეხბურთელმა.

ძოლა მწვრთნელობაზე ოცნებობს

იტალიელი ჯანფრანკო ძოლა თურმე მწვრთნელობაზე ოცნებობს, მეტიც, მას დიდი სურვილი აქვს, თავისი ამჟამინდელ გუნდ „ჩელსის“ უხელმძღვანელოს. მოგეხსენებათ, ლონდონურ კლუბს ახლა ძოლას თანამემამულე ჯანლუკა ვიალი ავარჯიშებს, ფეხბურთელს კი არ დაუკონკრეტებია, როდის აპირებს „ჩელსის“ სათავეში ჩადგომას.

იტალიელმა ერთ-ერთ სააგენტოს განუცხადა: „ვგონებ, ყველა წინაპირობა მაქვს საიმისოდ, რათა მწვრთნელობა შევძლო. ცოდნა და მონდომება არ მაკლია და მინდა, ყველაფერი ეს რომელიმე გუნდს მოვახმარო. ვნახოთ, რა გამოვა. ჩემი ოცნებაა, „ჩელსის“ ვუთავკაცო. ეს ძალიან დიდი პატივია, თუმცა უდავოა, ყველაფერი გუნდის თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა უნდა გადაწყვიტოს“.

ძოლა „ჩელსიში“ კვლავაც თამაშობს. ადრე ზოგიერთი სააგენტო იუწყებოდა, ვეტერანი ფეხბურთელი, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა სერია A-ს რომელიმე კლუბში დასრულოსო, იმასაც ამბობდნენ, ფორვარდს იტალიის უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებული „ნაპოლი“ იწვევსო. თუმცა შეთანხმება რატომღაც ვერ განხორციელდა და ძოლა ჯერჯერობით კვლავაც „სტემფორდ ბრიჯზეა“. ახალ სეზონს იგი სავარაუდოდ „ჩელსიში“ დაიწყებს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ძოლას თურქეთში ეპატიჟებოდნენ. იტალიელის გადაბირების სურვილი ორმა თურქულმა სახელიანმა კლუბმა — „ბეშიქთაშმა“ და „ფენერბაჰჩემ“ გამოთქვა, თუმცა არც აქედან გამოვიდა რამე.

ჯანფრანკო ძოლა

ფოუნი, ძე იანისა

ინგლისი

18 წლის ჯეიმს კოპინგერი „ნიუკასლ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში ჯერ არასდროს გამოჩენილა, მაგრამ „კაჭკაჭთა“ სათადარიგო გუნდის ბოლო ორ საწვრთნელ მატჩში 5 გოლი გაიტანა და ადგილობრივი პრესის ყურადღება დაიმსახურა. ამჯერად „ნიუკასლის“ შინ დარჩენილმა გუნდმა „ოლნვიკ თაუნს“ 6:2 მოუგო, კოპინგერმა კი „აშინგტონთან“ ჰეთ-თრიქს დუბლი წაუმატა, თუმცა გახარებულს ობიექტურობა არ დაუკარგავს და თქვა: „ამ გამარჯვების სულისჩამდგმელნი მარსელინო და თემურ ქეცბაია იყვნენ. სწორედ მათ აგვიყოლიეს, თავი არც თავად დაუზოგავთ და ამიტომაც მოვიგეთ.“ ჩვენებურმა მართლაც ჩვეული ჯიგრით ითამაშა (მთელი 90 წუთი) და ანგარიშიც სწორედ მან გახსნა — მეოთხე წუთზე საჯარიმოდან ბურთი კედელსაც შემოავლო და მეკარესაც. რაც შეეხება ქეცბაიას ტრანსფერს, გუშინწინ შოტლანდიურმა „სელტიკმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველის შეძენა სურს (ლესტერელ სტივ გაპისთან ერთად). იმედია, საქმე „ნიუკასლის“ ძირითადი გუნდის აშშ-დან დაბრუნებისთანავე მოგვარდება.

ორშაბათსვე ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა შვედური ტურნე „ლიდსმა“. ბოლო მატჩში დევიდ ოლარის გუნდმა 5:1 სძლია იონკოპინგის „სოდრას“. ორ-ორჯერ გაიტანეს ბრიჯისმა და ალან სმიტმა (ამან ტურნეს ყველა შეხვედრაში შეაგდო თუნდაც ერთი გოლი), საქმე კი შორეული დარტყმით ლი ბოიერმა მოამთავრა. ჩემპიონთა ლიგის პრეტენდენტმა მწვრთნელი განსაკუთრებით ალან სმიტის თამაშით დარჩა კმაყოფილი — ასეთი სმიტი ჯერ არავის უნახავსო.

სკანდინავიიდან სამშობლოში დაბრუნდა ლონდონური „ტოტენჰემიც“, რომელმაც ბოლოს შვედეთის მეორე ლიგის ბინადარ „ბოდენსთან“ წაივარჯიშა და 6:0 მოიგო. ანგარიში მე-12 წუთზე კვლავ უკრაინელმა რებროვმა გახსნა, მერე სტეფენ ივერსენმა ხუთ წუთში ორჯერ იხეირა, მეორე ტაიმში კი თავი კრის არმსტრონგმა (2) და ტიმ შერვუდმა გამოიჩინეს.

პრემიერლიგაში დაბრუნებულმა „მანჩესტერ სიტიმ“ კი ირლანდიური ტურნე მოილია. შაბათს ქინქლაძის ყოფილმა გუნდმა ამ კუნძულის ჩრდილო ნაწილში „ლინფილდი“ დაამარცხა 4:0, ორ დღეში კი რესპუბლიკურ ნაწილში ნახევრად პროფესიულ „დროგედასთან“ გაუჭირდა და ერთი გოლით დაკმაყოფილდა. საინტერესოა, რომ სტუმრებს გამარჯვება ცნობილი იან რაიტის შვილმა, შოუნ რაიტ-ფილიპსმა მოუტანა.

უვედეთი

მე-12 ტური. ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 3:1; გიოტებორგი — აიკ 2:2; ტრელებორგი — სუნდსვალი 1:0; ფრიოლუნდა — ჰამარბი 0:0; ელფსბორგი — ნორჩიოპინგი 1:1; იორგრიტე — იორებრო 0:2; ჰაკენი — გაის 1:2

ჰალმსტადი	12	8	1	3	21:9	25
აიკ	12	7	2	3	17:15	23
გიოტებორგი	12	5	5	2	20:14	20
ელფსბორგი	12	6	1	5	20:17	19
ნორჩიოპინგი	12	5	4	3	16:10	19
ჰამარბი	12	5	3	4	13:13	18
ჰელსინგბორგი	12	5	2	5	17:16	17
იორებრო	12	4	4	4	20:17	16
იორგრიტე	12	5	0	7	11:16	15
ტრელებორგი	12	4	3	5	10:11	15
ჰაკენი	12	3	4	5	17:21	13
სუნდსვალი	12	3	3	6	14:18	12
გაის	12	2	5	5	12:17	11
ფრიოლუნდა	12	2	3	7	7:21	9

ავსტრია

IV ტური

ლინცერი 0:2 ტიროლი

გერმანია

ლიგის თასი

ჰამბურგი 1:3 ჰერტა

კრისტიან ციგე

5 მილიონი გირვანქა ციგეში

გერმანელი მცველის, კრისტიან ციგეს შეძენა „ლივერპულს“ განუზრახავს და თანახმაა, „მიდლსბროს“ 5 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. თავად 28 წლის ფეხბურთელს თურმე „ენფილდზე“ თამაში სურს, რადგან „ლივერპულში“ მისი ორი თანამემამულე — დიტმარ ჰამანი და მარკუს ბაბელი ირიცხებიან.

ციგე „მიდლსბროში“ შარშან „მილანიდან“ გადავიდა, იგი გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა, ეროვნულ გუნდში მან 52 შეხვედრა ჩაატარა.

„ლივერპული“ შეკრებას შვეიცარიაში გადის. შესაძლო ტრანსფერის შესახებ გუნდის თავკაცმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ციგე გამოცდილი და გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა, მოხარული ვიქნები, თუ მის გადაბირებას შევძლებთ. კრისტიანს რამდენჯერმე ვესაუბრე, სირთულე ალბათ არ იქნება, ჩვენ მას დავიყაბულებთ“.

„მიდლსბროს“ დამხმარე მენეჯერი ვივ ანდერსონი: „ციგემ „ლივერპულში“ წასვლა გადაწყვიტა. ფეხბურთელმა მწვრთნელ ბრაიან რობსონს უთხრა, რომ ახალ სეზონს ჩვენთან აღარ დაიწყებს. „ლივერპულის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს უახლოეს მომავალში დავიწყებთ“.

ყველა გუნდის კარი ამილია

ევრო 2000 ინგლისმა მოიგო

რას არ გაიგებს კაცი? გაიგებს და ეწყინება, რომ მაინცდამაინც ახლა, ისევე, როგორც მთელს ჩვენ ქვეყანას, ფინანსურად სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებსაც უჭირთ. ბუცები და ბურთები კი არა, პირველადი მოთხოვნილების რამე-რუმეები აკლიათ თურმე ჩვენს ციხეებში. თუმცა, იმედია, მალე ყველაფერი გამოსწორდება და საქართველოს ციხეთა ნაკრები...

მანამდე კი, ანუ ჩვენს არყოფნაში, ინგლისელები „გულაობენ“. ახლახან დამთავრებულ ევროპის ციხეთა ჩემპიონატის (!) ფინალურ ეტაპზე ამ ქვეყნის შესაბამისმა ნაკრებმა ჯერ ჰოლანდიელი კოლეგები დაამარცხა 4:0, მერე მისი აღმატებულების ციხის გუნდი „გლენ პარვა“ (რომელმაც ბოლო წამს ფრანგთა ნაკრები შეცვალა), ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი კი სქოთებთან 1:1 ითამაშა.

ნახევარფინალში ინგლისელებმა ირლანდიელები დასვეს თავის ადგილზე (2:1), ფინალში მეორე ნახევარფინალის გამარჯვებულ პოლონელებს შეხვდნენ და 2:0 გამარჯვებით პირველ ადგილზე მოჯდნენ, რაც 1990 წლის მერე არ მომხდარა.

ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებთან ერთად ფინალურ ეტაპზე ლუქსემბურგის და გერმანიის გუნდებიც თამაშობდნენ.

ახლა მთელი მსოფლიოს ციხეთა ეროვნული გუნდები ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც გაისად, ივნისში, აშშ-ში გაიმართება.



სად არის ხალხი? სად და ევროპის ჩემპიონატზე

სტადიონის შენებას რა უნდა?

მოლდოვის მთავრობამ ქვეყნის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. არენა სავალალო მდგომარეობაშია, რის გამოც უეფასგან დისკვალიფიკაციაც კი ემუქრებათ.

„მთავრობის საგანგებო ჯგუფმა შეიმუშავა და დაამტკიცა პროექტი სტადიონის რეკონსტრუქციის შესახებ. „არენას ისე განვაახლებთ, რომ იქ საერთაშორისო მატჩების ჩატარება შეიძლებოდეს“ — განაცხადა მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაველ ჩიობანუმ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე. მაღალჩინოსანმა იქვე დასძინა, რომ ციურიხში აპირებს ჩასვლას, სადაც ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს შეხვდება და პროექტისთვის ფინანსურ მხარდაჭერას სთხოვს.

„შარშან ფიფამ საგანგებო გეგმა შეიმუშავა, რომელიც ფინანსურად დუხჭირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ფედერაციების დახმარებას ითვალისწინებს — განაცხადა ჩიობანუმ — ფიფას ვთხოვთ, ხელი გაგვიმართოს, რათა სტადიონი განვაახლოთ. რეკონსტრუქცია ამ სეზონისთვის, ალბათ აღარ მოესწრება, ძირითადი სამუშაოები კი სავარაუდოდ გაისად დასრულდება“.

ფედერაციის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა ფეხბურთს შეძლებისდაგვარად დაეხმარება. სამთავრობო კონტროლი ხელს შეუწყობს და დააჩქარებს პროექტის განხორციელებას.

პრემიერის დარტყმა

ევრო 2000-იდან გამოვარდნა იყო და მას მერე ჯერ დღე არ გასულა, ინგლისურ პრესაში ამ ქვეყნის „საფეხბურთო კრიზისიდან“ გამოყვანის მორიგი გზა არ დაესახათ.

სურვილი დიდია, მაგრამ მთავარი ტაძრისკენ მიმავალი გზის პოვნაა.

პრემიერლიგა თავის გზას ადგას. არსენ ვენგერი თუ ჟერარ ულიე, დიახაც, მეტად თვალსასეიროს ხდიან ისედაც ჩინებულ შოუს, მაგრამ ამით ინგლისურ ფეხბურთს რომ არაფერი შეემატება, ცხადია.

ჰოდა, აბა ვინ უნდა იზრუნოს ზოგადინგლისურ პრობლემაზე, თუ არა პრემიერ-მინისტრმა. ამიტომაც იყო, ტონი ბლერმა გუშინ ეროვნული გუნდის თავკაცი კევინ კიგანი რომ მიიპატიჟა დაუნინგ-სტრიითზე და სამხარსა და სალაღობო ბურთაობას შორის სერიოზული საუბარი გაუბა. ოქმის ენაზე თუ ვიტყვით, მხარეებმა საერთო ენა გამონახეს და საზოგადოებას „ფეხბურთის ფონდის“ დაარსება აუწყეს.

„შესაძლოა, ადამიანმა 10-15 წელი ითამაშოს ფეხბურთი და ვერაფერი მოიგოს, მაგრამ მთავარი ხომ ეს არაა. აუცილებელია, ბავშვები ჯანსაღ ცხოვრებას ეზიარონ, შანსი კი ყველას ექნება“ — თქვა ბლერმა. მისი აზრით, ქვეყნის მთავრობამ, პრემიერლიგამ და ფეხბურთის ასოციაციამ დიდი ყურადღება დაწყებით სკოლებში ფეხბურთის განვითარებას, მოზარდთა სოციალურ დახმარებას და დაბალი ლიგებისა და სამოყვარულო გუნდების მომძლავრებას უნდა მიაქციონ.

ითქვა? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შესრულდება. კიგანი შინ არ მიბრუნებულიყო, პრიმიერლიგის ხელმძღვანელობამ რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა ითავა და „ფეხბურთის ფონდში“ 60 მილიონი გირვანქის გადარიცხვა ბრძანა.

მანამდე კი ბლერმა და კიგანმა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის ბაღში ბურთი გააგორეს. ეტყობა, ქვეყნის თავკაცი, ამავდროულად „ნიუკასლის“ ფანი, შეხვედრით ისე დამუხტულიყო, პირველივე დარტყმით ბურთი რეზიდენციის კედელს გადააცილა. „ეგ არაფერი. ამ კაცმა რაც იცის, იმას ხეირიანად აკეთებს“ — აუხსნა იქვე მყოფ ბავშვებს კიგანმა.

REUTERS ლონდონიდან

გამორბენი, დარტყმა... და ბურთი ცენტრალურ ლონდონში გადავარდა

UEFA EURO 2000 **ევრო 2000**

სარგბიელის თერთმეტი რჩეული

კაცი, რომელიც სხვებს არ ჰგავს



როგორ ფიქრობთ, ვინ არის იუგოსლავიელების ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი. იქაურებს რომ ჰკითხოთ, არც დაფიქრდებიან, ისე მოგიგებენ, რა თქმა უნდა, სავო მილოშევიჩიო...

კი მაგრამ, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, მიხაილოვიჩი ან იუგოვიჩი? განა ესენი ნაკლები ოსტატები არიან, თუ ეროვნული გუნდისთვის თავი არ დაუდვიათ... შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მილოშევიჩს რაღაც ისეთი თვისებები აქვს, რისთვისაც „წმინდა სავო“ შეარქვეს.

ახლა მისი მშობლიური ქალაქის ბიელუნას ამბავს არ იკითხავთ. იქ უკვე დიდი ხანია დარწმუნებულნი არიან, რომ მილოშევიჩი იუგოსლავიის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელია. იშვიათ საგოლე ალღოსა და ცაციათი ყუმბარისებურ დარტყმას არაერთხელ აღუფრთოვანებია გულშემატკივრები. ეს თვისებები ჯერ კიდევ მაშინ შეამჩნიეს, როცა ბიელუნას „იანიაში“ თამაშობდა.

იქაურები ამბობენ, სავოს ოქროს გული აქვს და მთელს ქალაქში ოჯახს ვერ ნახავთ, ხელი რომ არ გაემართოსო. ცხადია, ცოტას აჭარბებენ, მაგრამ მისი გულისხმიერებისა და კაცობის ამბავი კი ნაღდია.

თურმე, როცა ბელგრადის „პარტიზანში“ მიიწვიეს, დაიჟინა და კონტრაქტში ისეთი პუნქტი ჩააწერინა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ტრანსფერის შემთხვევაში, თანხის ნახევარი „იანიას“ უნდა რგებოდა. და როცა „პარტიზანმა“ მილოშევიჩი ინგლისურ „ასტონ ვილას“ 3,5 მილიონ გირვანქად მიჰყიდა, პირობა შესრულდა და ნახევარი სავოს მშობლიურ გუნდს ერგო.

ბიელუნელები ამბობენ, მართალია სავო კარგა ხნის წასულია, მაგრამ შინაურებს არასოდეს ივიწყებსო.

ბედნიერი კაცია სავო. სადაც წავა, ყველგან უცებ შეუყვარდებათ ხოლმე. „პარტიზანში“ გადავიდა და ბელგრადელი ფანების ფავორიტი გახდა. მისი დახმარებით „პარტიზანმა“ სამ წელიწადში ორჯერ მოიგო იუგოსლავიის ჩემპიონატი და თასი. მერე კი „ასტონ ვილა“ იყო. ბირმინგემულ კლუბს 2,5 მილიონ გირვანქად (მაშინ დიდი ფული იყო) სულ ახალი ნაყიდი ჰყავდა გარეთ საუთგეიტი, როცა მწვრთნელებს მილოშევიჩის თამაშის ვიდეოფირი აჩვენეს. და მაშინვე, კლუბის ხელმძღვანელები ბრაიან ლითლი და დუგ ელისი ომის ქარცეცხლში გახვეულ ბელგრადს გაეგზავნენ, რათა პირადად გაეცნოთ ფეხბურთელი.

ცხადია, ახალგაზრდა სერბს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია. არეული ბელგრადიდან მშვიდ და მდიდარ ინგლისში გადასვლა ზღაპარს ჰგავდა. 1995 წლის ივნისში, პრემიერლიგის სეზონისთვის მოსამზადებლად სავო ბირმინგემში გაფრინდა. მალე საცოლემაც ჩააკითხა. ეს გოგონაც უბრალო ვინმე არ გეგონოთ. ცნობილი ტოპმოდელი ვესნა ბოვანია, რომელიც ბევრს იუგოსლავიის ულამაზეს ქალბატონად მიაჩნია. მალე ბავშვიც ეყოლათ და ნიკოლასი დაარქვეს.

სავოს მონათხრობით, ვესნა რესტორანში გაიცნო. ცოტა ხანში კი მიხვდა, რომ უიმისოდ ცხოვრება არ შეეძლო. თურმე ვესნაც ივივეს ფიქრობდა. მალევე სავოს გულისთვის გოგონამ პერსპექტიულ კარიერას თავი დაანება და დღეს ისინი იუგოსლავიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წყვილად ითვლებიან.

ინგლისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. სამ პრემიერლიგურ სეზონში მილოშევიჩმა 117 მატჩი ჩაატარა და 34 ბურთი გაიტანა. მაგრამ ერთხელაც, როცა „ვილა“ „ბლეკბერნთან“ 0:5 აგებდა, სავომ ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ფანების ერთმა ნაწილმა გამაყრუებელი სტვენა ატეხა, სავოც მათკენ მიბრუნდა და შეაფურთხა. მერე, როცა დაწყნარდა ბოდიში მოიხადა. მალე „ვილაში“ სტენ კოლიმორიც გამოჩნდა და მილოშევიჩის საქმეები აირია. ცხადი იყო, სერბი ინგლისში დიდ ხანს აღარ გაჩერდებოდა, თანაც კონტრაქტიც უმთავრდებოდა.

ჭორაობდნენ, მილოშევიჩს თანამემამულე რადომირ ანტიჩი მადრიდის „ატლეტიკოში“ იწვევს. გადაიყვანს და თავდასხმაში კრისტიან ვიერისთან შეაწყვილებსო. იმასაც ამბობდნენ, მილოშევიჩით „ნაპოლი“ და „პერუჯა“ დაინტერესდნენო, მაგრამ ბოლოს საქმე ასე აეწყო, ესპანურმა „სარაგოსამ“ „ასტონ ვილას“ სერბის სანაცვლოდ 3,5 მილიონი გირვანქა შესთავაზა და საქმეც გაიჩარხა.

შარშანდელი სეზონი მილოშევიჩისთვის ურიგო არ ყოფილა, წლეულს კი ჩინებულად ითამაშა, სარაგოსელი ფანების კერპიც გახდა და 21 გატანილი გოლით ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია.

„ესპანელებთან მატჩი ჩემთვის განსაკუთრებულია. ამ ქვეყანაში უკვე ორი წელიწადია ვთამაშობ და მგონი ურიგოდ არ ვირჯები. ახლა მსურს დავამტკიცო, რომ უმაღლეს ევროპულ დონეზეც შემიძლია თამაში. თანაც, მოწინააღმდეგის გუნდში არაერთი ჩემი მეგობარი თამაშობს — თქვა ევრო 2000-ზე ესპანელებთან მატჩის წინ მილოშევიჩმა. თქვა და თავისი გააკეთა კიდეც. ესპანელთა მეკარე სანტიაგო კანისარესს პირველი ბურთი სწორედ მან გაუტანა და თუ მისმა ნაკრებმა ბოლო ორ წუთში თამაში წააგო, ეს ყველაზე ნაკლებად იყო მილოშევიჩის ბრალი.

მანამდე კი, ევრო 2000-ის პირველ თამაშში იუგოსლავიელებმა პატარა სასწაული მოახდინეს, როცა სლოვენიელებთან 0:3 აგებდნენ და კაცნაკლულებმა ანგარაში მაინც გაათანაბრეს. ასეთი რამ, როცა ერთმა გუნდმა მეორეს სამბურთიანი სხვაობა გაუბათილა, ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე პირველად მოხდა და ამ საოცრების ერთ-ერთი მთავარი გმირი სწორედ სავო მილოშევიჩი გახლდათ. სავო მინდორზე მეორე ტაიმში გაიყვანეს და მანაც ორი ბურთი შეაგდო. სულ კი ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა და ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტთან ერთად ევრო 2000-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კიდევ ერთი თვისება, რისთვისაც მილოშევიჩი უყვართ, მისი თავმდაბლობაა. აი, ერთი მაგალითიც. როცა სლოვენიასთან გატანილი გოლების შემდეგ განუწყვეტელ კომპლიმენტებს ისმენდა, ბოლოს დაირცხვინა და ესპანურ ტელეკომპანიას ეს უთხრა: „მთავარია, რომ ფრეს მივაღწიეთ. მართალია ორი ბურთი გავიტანე, მაგრამ ჩემი დამსახურება ზუსტად იმდენივეა, რამდენიც სხვების. აბა ბოლო ნახევარი საათი გაიხსენეთ. როგორ გარდაიქმნა იუგოსლავიის ნაკრები. შემართებამ და მებრძოლმა სულმა ნაყოფი გამოიღო და კომპლიმენტები მთელ გუნდს ეკუთვნის. მე კი დიდი არაფერი, უბრალოდ ჩემი საქმე გავაკეთე“.

აი, ასეთია სავო მილოშევიჩი. იუგოსლავიის ნაკრების მეცხრე ნომერი. ისე, გასაკვირი არცაა, რატომ უყვართ სამშობლოში სავო. ზოგიერთი იუგოსლავიელი ფეხბურთელისგან განსხვავებით, სინიშა მიხაილოვიჩის თამადობით ერთობ ყინჩად რომ ეჭირათ თავი და მერე ჩემპიონატი თავლაფდასხმულებმა დატოვეს, სავო მილოშევიჩის თავდაჭერილობა მართლაც კარგი სანახავი იყო. ისევე, როგორც მისი თამაში.

ისიც ნაღდია, რომ „სარაგოსაში“ მას დიდ ხანს აღარავინ გააჩერებს.

სოლომონ გულისაშვილი

სავო მილოშევიჩი

იუგოსლავია

დაიბადა: 1973 წლის 2 სექტემბერს ბიელუნაში (იუგოსლავია)
კლუბი: სარაგოსა (ესპანეთი)
ამპლუა: თავდამსხმელი
სიმაღლე: 186 სმ
წონა: 82 კგ
კარიერა: იანია (ბიელუნა), პარტიზანი (იუგოსლავია), ასტონ ვილა (ინგლისი), სარაგოსა (ესპანეთი)
იუგოსლავიის ნაკრებში: 51 მატჩი, 25 გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია. პირველი დივიზიონი. 2000-2001 კალენდარი

I ტური

20 აგვისტო

პორტუ	—	ბენფიკა
ბრაგა	—	გიმარაეში
სპორტინგი	—	ფარენსე
ლეირია	—	ამადორა
ბეირა მარი	—	ბოავიშტა
ავეში	—	ბელენენსეში
სალგეირუში	—	პასოს ფერეირა
ჟილ ვისენტე	—	კამპომაიორენსე
ალვერკა	—	მარიტიმუ

II ტური

27 აგვისტო

ამადორა	—	ბრაგა
ბოავიშტა	—	ლეირია
ბენფიკა	—	ბეირა მარი
ბელენენსეში	—	პორტუ
პასოს ფერეირა	—	ავეში
კამპომაიორენსე	—	სალგეირუში
მარიტიმუ	—	ჟილ ვისენტე
ფარენსე	—	ალვერკა
გიმარაეში	—	სპორტინგი

III ტური

10 სექტემბერი

ამადორა	—	ბოავიშტა
ლეირია	—	ბენფიკა
ბეირა მარი	—	ბელენენსეში
პორტუ	—	პასოს ფერეირა
ავეში	—	კამპომაიორენსე
სალგეირუში	—	მარიტიმუ
ჟილ ვისენტე	—	ფარენსე
ალვერკა	—	გიმარაეში
ბრაგა	—	სპორტინგი

IV ტური

17 სექტემბერი

ბოავიშტა	—	ბრაგა
ბენფიკა	—	ამადორა
ბელენენსეში	—	ლეირია
პასოს ფერეირა	—	ბეირა მარი
კამპომაიორენსე	—	პორტუ
მარიტიმუ	—	ავეში
ფარენსე	—	სალგეირუში
გიმარაეში	—	ჟილ ვისენტე
სპორტინგი	—	ალვერკა

V ტური

24 სექტემბერი

ბოავიშტა	—	ბენფიკა
ამადორა	—	ბელენენსეში
ლეირია	—	პასოს ფერეირა
ბეირა მარი	—	კამპომაიორენსე
პორტუ	—	მარიტიმუ
ავეში	—	ფარენსე
სალგეირუში	—	გიმარაეში
ჟილ ვისენტე	—	სპორტინგი
ბრაგა	—	ალვერკა

VI ტური

1 ოქტომბერი

ბენფიკა	—	ბრაგა
ბელენენსეში	—	ბოავიშტა
პასოს ფერეირა	—	ამადორა
კამპომაიორენსე	—	ლეირია
მარიტიმუ	—	ბეირა მარი
ფარენსე	—	პორტუ
გიმარაეში	—	ავეში
სპორტინგი	—	სალგეირუში
ალვერკა	—	ჟილ ვისენტე

VII ტური

15 ოქტომბერი

ბენფიკა	—	ბელენენსეში
ბოავიშტა	—	პასოს ფერეირა
ამადორა	—	კამპომაიორენსე
ლეირია	—	მარიტიმუ
ბეირა მარი	—	ფარენსე
პორტუ	—	გიმარაეში
ავეში	—	სპორტინგი
სალგეირუში	—	ალვერკა
ბრაგა	—	ჟილ ვისენტე

VIII ტური

22 ოქტომბერი

ბელენენსეში	—	ბრაგა
პასოს ფერეირა	—	ბენფიკა
კამპომაიორენსე	—	ბოავიშტა
მარიტიმუ	—	ამადორა
ფარენსე	—	ლეირია
გიმარაეში	—	ბეირა მარი
სპორტინგი	—	პორტუ
ალვერკა	—	ავეში
ჟილ ვისენტე	—	სალგეირუში

IX ტური

29 ოქტომბერი

ბელენენსეში	—	პასოს ფერეირა
ბენფიკა	—	კამპომაიორენსე
ბოავიშტა	—	მარიტიმუ
ამადორა	—	ფარენსე
ლეირია	—	გიმარაეში
ბეირა მარი	—	სპორტინგი
პორტუ	—	ალვერკა
ავეში	—	ჟილ ვისენტე
ბრაგა	—	სალგეირუში

X ტური

5 ნოემბერი

პასოს ფერეირა	—	ბრაგა
კამპომაიორენსე	—	ბელენენსეში
მარიტიმუ	—	ბენფიკა
ფარენსე	—	ბოავიშტა
გიმარაეში	—	ამადორა
სპორტინგი	—	ლეირია
ალვერკა	—	ბეირა მარი
ჟილ ვისენტე	—	პორტუ
სალგეირუში	—	ავეში

XI ტური

12 ნოემბერი

ბრაგა	—	ავეში
პასოს ფერეირა	—	კამპომაიორენსე
ბელენენსეში	—	მარიტიმუ
ბენფიკა	—	ფარენსე
ბოავიშტა	—	გიმარაეში
ამადორა	—	სპორტინგი
ლეირია	—	ალვერკა
ბეირა მარი	—	ჟილ ვისენტე
პორტუ	—	სალგეირუში

XII ტური

19 ნოემბერი

კამპომაიორენსე	—	ბრაგა
მარიტიმუ	—	პასოს ფერეირა
ფარენსე	—	ბელენენსეში
გიმარაეში	—	ბენფიკა
სპორტინგი	—	ბოავიშტა
ალვერკა	—	ამადორა
ჟილ ვისენტე	—	ლეირია
სალგეირუში	—	ბეირა მარი
ავეში	—	პორტუ

XIII ტური

3 დეკემბერი

კამპომაიორენსე	—	მარიტიმუ
პასოს ფერეირა	—	ფარენსე
ბელენენსეში	—	გიმარაეში
ბენფიკა	—	სპორტინგი
ბოავიშტა	—	ალვერკა
ამადორა	—	ჟილ ვისენტე
ლეირია	—	სალგეირუში
ბეირა მარი	—	ავეში
ბრაგა	—	პორტუ

XIV ტური

10 დეკემბერი

მარიტიმუ	—	ბრაგა
ფარენსე	—	კამპომაიორენსე
გიმარაეში	—	პასოს ფერეირა
სპორტინგი	—	ბელენენსეში
ალვერკა	—	ბენფიკა
ჟილ ვისენტე	—	ბოავიშტა
სალგეირუში	—	ამადორა
ავეში	—	ლეირია
პორტუ	—	ბეირა მარი

XV ტური

17 დეკემბერი

მარიტიმუ	—	ფარენსე
კამპომაიორენსე	—	გიმარაეში
პასოს ფერეირა	—	სპორტინგი
ბელენენსეში	—	ალვერკა
ბენფიკა	—	ჟილ ვისენტე
ბოავიშტა	—	სალგეირუში
ამადორა	—	ავეში
ლეირია	—	პორტუ
ბრაგა	—	ბეირა მარი

XVI ტური

7 იანვარი

ბრაგა	—	ფარენსე
გიმარაეში	—	მარიტიმუ
სპორტინგი	—	კამპომაიორენსე
ალვერკა	—	პასოს ფერეირა
ჟილ ვისენტე	—	ბელენენსეში
სალგეირუში	—	ბენფიკა
ავეში	—	ბოავიშტა
პორტუ	—	ამადორა
ბეირა მარი	—	ლეირია

XVII ტური

14 იანვარი

ფარენსე	—	გიმარაეში
მარიტიმუ	—	სპორტინგი
კამპომაიორენსე	—	ალვერკა
პასოს ფერეირა	—	ჟილ ვისენტე
ბელენენსეში	—	სალგეირუში
ბენფიკა	—	ავეში
ამადორა	—	ბეირა მარი
ბოავიშტა	—	პორტუ
ლეირია	—	ბრაგა

XVIII ტური

21 იანვარი

ბენფიკა	—	პორტუ
გიმარაეში	—	ბრაგა
ფარენსე	—	სპორტინგი
ამადორა	—	ლეირია
ბოავიშტა	—	ბეირა მარი
ბელენენსეში	—	ავეში
პასოს ფერეირა	—	სალგეირუში
კამპომაიორენსე	—	ჟილ ვისენტე
მარიტიმუ	—	ალვერკა

XIX ტური

28 იანვარი

ბრაგა	—	ამადორა
ლეირია	—	ბოავიშტა
ბეირა მარი	—	ბენფიკა
პორტუ	—	ბელენენსეში
ავეში	—	პასოს ფერეირა
სალგეირუში	—	კამპომაიორენსე
ჟილ ვისენტე	—	მარიტიმუ
ალვერკა	—	ფარენსე
სპორტინგი	—	გიმარაეში

XX ტური

4 თებერვალი

ბოავიშტა	—	ამადორა
ბენფიკა	—	ლეირია
ბელენენსეში	—	ბეირა მარი
პასოს ფერეირა	—	პორტუ
კამპომაიორენსე	—	ავეში
მარიტიმუ	—	სალგეირუში
ფარენსე	—	ჟილ ვისენტე
გიმარაეში	—	ალვერკა
სპორტინგი	—	ბრაგა

XXI ტური

18 თებერვალი

ბრაგა	—	ბოავიშტა
ამადორა	—	ბენფიკა
ლეირია	—	ბელენენსეში
ბეირა მარი	—	პასოს ფერეირა
პორტუ	—	კამპომაიორენსე
ავეში	—	მარიტიმუ
სალგეირუში	—	ფარენსე
ჟილ ვისენტე	—	გიმარაეში
ალვერკა	—	სპორტინგი

XXII ტური

25 თებერვალი

ბენფიკა	—	ბოავიშტა
ბელენენსეში	—	ამადორა
პასოს ფერეირა	—	ლეირია
კამპომაიორენსე	—	ბეირა მარი
მარიტიმუ	—	პორტუ
ფარენსე	—	ავეში
გიმარაეში	—	სალგეირუში
სპორტინგი	—	ჟილ ვისენტე
ალვერკა	—	ბრაგა

XXIII ტური

4 მარტი

ბრაგა	—	ბენფიკა
ბოავიშტა	—	ბელენენსეში
ამადორა	—	პასოს ფერეირა
ლეირია	—	კამპომაიორენსე
ბეირა მარი	—	მარიტიმუ
პორტუ	—	ფარენსე
ავეში	—	გიმარაეში
სალგეირუში	—	სპორტინგი
ჟილ ვისენტე	—	ალვერკა

XXIV ტური

11 მარტი

ბელენენსეში	—	ბენფიკა
პასოს ფერეირა	—	ბოავიშტა
კამპომაიორენსე	—	ამადორა
მარიტიმუ	—	ლეირია
ფარენსე	—	ბეირა მარი
გიმარაეში	—	პორტუ
სპორტინგი	—	ავეში
ალვერკა	—	სალგეირუში
ჟილ ვისენტე	—	ბრაგა

XXV ტური

18 მარტი

ბრაგა	—	ბელენენსეში
ბენფიკა	—	პასოს ფერეირა
ბოავიშტა	—	კამპომაიორენსე
ამადორა	—	მარიტიმუ
ლეირია	—	ფარენსე
ბეირა მარი	—	გიმარაეში
პორტუ	—	სპორტინგი
ავეში	—	ალვერკა
სალგეირუში	—	ჟილ ვისენტე

XXVI ტური

1 აპრილი

პასოს ფერეირა	—	ბელენენსეში
კამპომაიორენსე	—	ბენფიკა
მარიტიმუ	—	ბოავიშტა
ფარენსე	—	ამადორა
გიმარაეში	—	ლეირია
სპორტინგი	—	ბეირა მარი
ალვერკა	—	პორტუ
ჟილ ვისენტე	—	ავეში
სალგეირუში	—	ბრაგა

XXVII ტური

8 აპრილი

ბრაგა	—	პასოს ფერეირა
ბელენენსეში	—	კამპომაიორენსე
ბენფიკა	—	მარიტიმუ
ბოავიშტა	—	ფარენსე
ამადორა	—	გიმარაეში
ლეირია	—	სპორტინგი
ბეირა მარი	—	ალვერკა
პორტუ	—	ჟილ ვისენტე
ავეში	—	სალგეირუში

XXVIII ტური

14 აპრილი

კამპომაიორენსე	—	პასოს ფერეირა
მარიტიმუ	—	ბელენენსეში
ფარენსე	—	ბენფიკა
გიმარაეში	—	ბოავიშტა
სპორტინგი	—	ამადორა
ალვერკა	—	ლეირია
ჟილ ვისენტე	—	ბეირა მარი
სალგეირუში	—	პორტუ
ავეში	—	ბრაგა

XXIX ტური

22 აპრილი

ბრაგა	—	კამპომაიორენსე
პასოს ფერეირა	—	მარიტიმუ
ბელენენსეში	—	ფარენსე
ბენფიკა	—	გიმარაეში
ბოავიშტა	—	სპორტინგი
ამადორა	—	ალვერკა
ლეირია	—	ჟილ ვისენტე
ბეირა მარი	—	სალგეირუში
პორტუ	—	ავეში

XXX ტური

29 აპრილი

მარიტიმუ	—	კამპომაიორენსე
ფარენსე	—	პასოს ფერეირა
გიმარაეში	—	ბელენენსეში
სპორტინგი	—	ბენფიკა
ალვერკა	—	ბოავიშტა
ჟილ ვისენტე	—	ამადორა
სალგეირუში	—	ლეირია
ავეში	—	ბეირა მარი
პორტუ	—	ბრაგა

XXXI ტური

6 მაისი

ბრაგა	—	მარიტიმუ
კამპომაიორენსე	—	ფარენსე
პასოს ფერეირა	—	გიმარაეში
ბელენენსეში	—	სპორტინგი
ბენფიკა	—	ალვერკა
ბოავიშტა	—	ჟილ ვისენტე
ამადორა	—	სალგეირუში
ლეირია	—	ავეში
ბეირა მარი	—	პორტუ

XXXII ტური

13 მაისი

ფარენსე	—	მარიტიმუ
გიმარაეში	—	კამპომაიორენსე
სპორტინგი	—	პასოს ფერეირა
ალვერკა	—	ბელენენსეში
ჟილ ვისენტე	—	ბენფიკა
სალგეირუში	—	ბოავიშტა
ავეში	—	ამადორა
პორტუ	—	ლეირია
ბეირა მარი	—	ბრაგა

XXXIII ტური

20 მაისი

ფარენსე	—	ბრაგა
მარიტიმუ	—	გიმარაეში
კამპომაიორენსე	—	სპორტინგი
პასოს ფერეირა	—	ალვერკა
ბელენენსეში	—	ჟილ ვისენტე
ბენფიკა	—	სალგეირუში
ბოავიშტა	—	ავეში
ამადორა	—	პორტუ
ლეირია	—	ბეირა მარი

XXXIV ტური

27 მაისი

გიმარაეში	—	ფარენსე
სპორტინგი	—	მარიტიმუ
ჟილ ვისენტე	—	პასოს ფერეირა
ალვერკა	—	კამპომაიორენსე
სალგეირუში	—	ბელენენსეში
ავეში	—	ბენფიკა
პორტუ	—	ბოავიშტა
ბეირა მარი	—	ამადორა
ბრაგა	—	ლეირია

ირაკლი ხოშტარიას სტუდენტობა გაუტკბა

სდასუ-ს გამთამამებელი სტუ-ში გადავიდა

ირაკლი ხოშტარია ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში ითამაშებს. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი გუშინ საბოლოოდ დაყაბულდა სტუ-ს წინადადებას და ახალ ჩემპიონატს სწორედ ამ კლუბში შეხვდება.

ბოლო სეზონი ხოშტარიამ სდასუ-ში გაატარა, გუნდის ნამდვილი ლიდერი გახლდათ და მისი ძალისხმევით წლეულს პლეი ოფშიც გააღწია სდასუ-მ. ბრინჯაოს მედლები აღმაშენებლის სტუდენტებმა ტექნიკოს კოლეგებთან ბრძოლაში დათმეს, გუნდთან, რომელიც ამიერიდან ხოშტარიას ახალი სარბიელია.

ირაკლი სდასუ-დან წამოსვლის თაობაზე კარგა ხნის წინ ალაპარაკდა, თუმც გუშინდლამდე დაზუსტებით არაფერი იყო ცნობილი. გუშინ კი სტუ-ს პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ გვითხრა, ხოშტარიას საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, იგი ჩვენთან ითამაშებსო.

ამის მერე თავად ხოშტარიას დავუკავშირდით:

„ახლა უკვე სტუ-ს მოთამაშე ვარ, კლუბთან უკლებლივ ყველა დეტალი შევათანხმე და კმაყოფილიც დავრჩი. სტუ კარგი გუნდია, ნორმალური სავარჯიშო პირობები აქვს და სერიოზული მიზნებიც ამოძრავებს. ვფიქრობ, ურიგო არჩევანი არ გამიკეთებია, სასურველ კლუბში მოვხვდი“.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ სტუ ხოშტარიასთვის მეხუთე გუნდია. „მართვე“, „კაქტუსი“, „დინამო“, „სდასუ“ — აი, სრული და თანმიმდევრული ნუსხა იმ კლუბებისა, სადაც ირაკლის აქამდე უთამაშია.

გიორგი გიკაჯვილი

ირაკლი ხოშტარია

გვრცელ დეტალებს ფურცელზე ფოტო

სტუ გამრავლებას აპირებს, ფედერაციას კი გამოკლებას შრჩევს

მეცხრე ეროვნულში საჩემპიონო გუნდად შერაცხული, ბოლოს კი ბრინჯაოს დაჯერებული სტუ აქედანვე იჭერს თადარიგს ახალი ჩემპიონატისთვის. ვარჯიშს გუნდი მოგვიანებით შეუდგება, სადღეისოდ კი კლუბის ხელმძღვანელობა ძირითადად სატრანსფერო პოლიტიკითაა დაკავებული.

მოგეხსენებათ, გუნდი ამროსი ორმოცაძემ დატოვა, რომელიც ბათუმის „ბასკოში“ გადაბარგდა. ამ რამდენიმე ხნის წინ კი სტუდენტთა გამთამაშებელმა და ლიდერმა, დავით თორთლაძემ მიაშურა თბილისის „მაკაბის“. თავიდან ითქვა, თორთლაძე მხოლოდ კორაჩის თასზე შეეშველება „მაკაბისო“, მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარადაა საქმე. „თორთლაძე აღარაა ჩვენი კლუბის წევრი“ — გვამცნო გუშინ სტუ-ს თავკაცობამ.

დანაკარგის ასანაზღაურებლად ტექნიკოსებმა სხვა მოთამაშეებთან აწარმოეს მოლაპარაკება და სდასუ-დან ეროვნული ნაკრების კაპიტანი ირაკლი ხოშტარია გადმოიბირეს. თითქმის გადაწყვეტილია ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილის საკითხიც. როგორც შევიტყვეთ, მისი სტუ-ში ჩარიცხვა დროის ამბავია. სიტყვიერად კი უკვე შეთანხმებულან კლუბი და კალათბურთელი, რაც იმას ნიშნავს, რომ კოკოლიშვილის „ბასკოში“ შესაძლოა გადასვლა საბოლოოდ ჩაიშალა. ქვეყნის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორს გიორგი გაგნიძის თავისთან ხილვაც ძალიან სურს, მაგრამ გაგნიძე, მოგეხსენებათ, ამჟამად მოსკოვის „სპარტაკში“ ისინჯება და ამ მიზეზით ეს საკითხი ბურუსითაა მოცული.

და რაც მთავარია: სტუ-მ ფარმკლუბის შექმნა ამოიჭრა გულში. იგი ძირითადის საბაზო გუნდი იქნება და ასევე უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. კლუბის ხელმძღვანელობას იმის იმედი აქვს, რომ ჩემპიონატში მონაწილეობის თორმეტი მსურველი არ შეგროვდება და „პატარა სტუ-ც“ უმტკივნეულოდ შეავსებს ვაკანსიას. „პატარა“ იმიტომ, რომ თუ ამ გუნდს არსებობა უწერია, ახალბედებითა და ყმაწვილი სტუდენტებით გავა ფონს. მწვრთნელად კი ნიკო ჩერქეზიშვილი დაინიშნება, რომელიც ძირითადი გუნდის გაწვრთნაშიც მიეხმარება ნუგზარ ჭეიშვილს. ბოლო სეზონში ჭეიშვილის თანაშემწე ვაჟა ჭკუასელმა კლუბი დატოვა.

ცნობილია, რომ კალათბურთის ფედერაციამ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს საგანგებო კითხვარები დაუგზავნა. კითხვას — როგორ გესახებათ ახალი ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა — სტუ-მ თავისათვის სასურველი პასუხი გასცა. კლუბის პრეზიდენტ მამუკა კაციტაძის აზრით, რაკი ფედერაციას უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირების თაობაზე აღრე არაფერი დასცდენია, ახლაც თორმეტგუნდა ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, რომელიც გაისისთვის ათამდე შეიკვეცება, სამომავლოდ კი რვამდე. რვა გუნდი საუკეთესო ვარიანტიაო, ამბობს კაციტაძე, თუმც იმასაც დასძენს, რომ ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს და არა ერთი ხელის დაკვრით. სტუ-ს პრეზიდენტს ყოველივე ამგვარად წარმოუდგენია: „გვათამაშონ ერთი წრე. ამის შემდეგ რვა საუკეთესო გუნდმა ჩემპიონობისთვის გაგრძელოს ბრძოლა, დანარჩენებმა კი სხვა მსურველებთან ერთად უმაღლესი ლიგის ორი საგზური გაითამაშონ. იგივე გააკეთონ გაისადაც. ასეთი ხერხით ხომ გუნდების რაოდენობა უმტკივნეულოდ შემცირდება რვამდე, თანაც კლუბებს პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე დაეშუქრებათ და ინტრიგაც მოიმატებს“.

ვერაფერს იტყვი, იდეა თავისთავად ცუდი არაა, მაგრამ ყველაფერი მაინც ფედერაციაზეა დამოკიდებული. ჩვენ კი ისევ სტუ-ს დავუბრუნდეთ, რომელიც მეათე ეროვნულისთვის მზადებას 15 აგვისტოს შეუდგება და შესაძლოა საზღვარგარეთული შეკრებაც მოაწყოს. თუ ტექნიკოსებს თურქეთში გამგზავრება არ მოუხერხდათ, შეკრებას სავარაუდოდ ბორჯომში გაივლიან, ანაც რაჭის კურორტ შოვში.

გიორგი გიკაჯვილი

ევროპული ამბები

გერმანია

კოტუროვიჩი ალბას ფარს გაამაგრებს

იუგოსლავიელ ცენტრ დეიან კოტუროვიჩს ამ ზაფხულს დაუმთავრდა ორწლიანი კონტრაქტი სტამბოლის „ულქერთან“. კალათბურთელი თავისუფალ აგენტად იქცა და ამ სტატუსით დაიწყო ახალი გუნდის ძებნა. კოტუროვიჩი დიდხანს არ გაწვალდა: ბერლინის „ალბას“ მოელაპარაკა და ორწლიანი ხელშეკრულებაც გაუფორმა. ბერლინელებმა იუგოსლავიელი პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ გადასული პატრიკ ფემერლინგის შემცვლელად შეიგულეს.

„ალბას“ მწვრთნელი ემირ მუტაპჩიჩი კმაყოფილია ამ შენაძენით: „დეიანი სტაბილური მოთამაშეა და ფარზე ბევრ სამუშაოს შეასრულებს. ახალი, ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი 24 წამის წესის შემოღებისას „ალბას“ სწორედ კოტუროვიჩის ტიპის კალათბურთელი სჭირდებოდა — მაღალი, მსუბუქი და სწრაფი“.

28 წლის და 210-სანტიმეტრიანი კოტუროვიჩის კარიერა 1990 წელს დაიწყო იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცას „სპარტაკში“. 1995 წელს იგი ბელგრადის „პარტიზანში“ გადავიდა. ექვსი თვე ფრანგულ „პარი სენ ჟერმენშიც“ იყო, მაგრამ დაშავდა და გუნდიდან წამოვიდა. 1998 წელს კი სტამბოლის „ულქერში“ მივიდა, სადაც ამ სეზონის დამთავრებამდე თამაშობდა. სხვათა შორის, კოტუროვიჩი ბოლო მატჩებში დაშავდა და იგი „ულქერის“ ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ შეცვალა.

1996-1997 წლებში კოტუროვიჩი იუგოსლავიის ნაკრებშიც ირიცხებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან ტურნირებში მონაწილეობა არ მიუღია, მხოლოდ ამხანაგური მატჩებით დაკმაყოფილდა.

გსურთ ხელმისაწვდომ ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?

მაშ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს“, რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს“ მოპირდაპირე მხარეს, მელიქიშვილის №7.

ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს). 8 99 56-00-50

ნბა-ს ხელფასები

პიუსტონ როკიტსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
ჩარლზ ბარკლი	1 წელი/9 000 000 აშშ $	2000
მეტ ბალარდი	3 წელი/2 300 000	2001
ბრიუს დრიუ	4 წელი/3 700 000	2002
სტივ ფრენსისი	4 წელი/11 900 000	2003
შენდონ ანდერსონი	2 წელი/6 600 000	2001
ტონი მასენბურგი	3 წელი/2 700 000	2000
კუტინო მობლი	1 წელი/385 000	2000
ჰაკიმ ოლაჯუონი	5 წელი/55 000 000	2004
უოლტ ვილიამსი	5 წელი/20 000 000	2002
კენი ტომასი	4 წელი/4 200 000	2003
კელვინ კატო	6 წელი/42 000 000	2006
კარლოს როჯერსი	5 წელი/13 300 000	2002

ინდიანა პეისერზი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
ჯონათან ბენდერი	4 წელი/10 500 000	2003
ტრევის ბესტი	4 წელი/13 000 000	2002
ოსტინ კროშერი	3 წელი/4 020 720	2000
დეილ დევისი	7 წელი/42 000 000	2003
ჯეფ ფოსტერი	4 წელი/3 498 000	2003
ელ ჰარინგტონი	4 წელი/2 600 000	2002
მარკ ჯეკსონი	3 წელი/11 500 000	2000
დერიკ მაკკი	5 წელი/24 000 000	2002
რეჯი მილერი	4 წელი/36 000 000	2000
კრის მულინი	3 წელი/12 300 000	2001
სემ პერკინსი	2 წელი/3 750 000	2000
ჯალენ როუზი	6 წელი/10 200 000	2000
ჟან ტაბაკი	2 წელი/2 300 000	2001
რიკ სმიტსი	2 წელი/20 500 000	2000

ლოს ანჯელეს კლიპერსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
დერიკ ანდერსონი	3 წელი/3 820 000	2000
კიტ კლოსი	5 წელი/8 500 000	2000
ერიკ მერდოკი	3 წელი/5 780 000	2001
ტაირონ ნესბი	3 წელი/8 900 000	2002
ლამარ ოდომი	4 წელი/11 300 000	2003
მაიკლ ოლოვოკანდი	4 წელი/10 500 000	2002
ერიკ პიატკოვსკი	4 წელი/12 000 000	2003
ენტონი ევენტი	1 წელი/510 000	2000
ბრაიან სკინერი	4 წელი/2 890 000	2002
მორის ტეილორი	3 წელი/3 630 000	2000

ლოს ანჯელეს ლეიკერსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
კობი ბრაიანტი	6 წელი/70 900 000	2005
დერიკ ფიშერი	7 წელი/30 000 000	2006
რიკ ფოქსი	6 წელი/25 000 000	2005
რონ ჰარპერი	2 წელი/4 200 000	2001
რობერტ ჰორი	7 წელი/35 000 000	2004
ეი სი გრინი	3 წელი/5 870 000	2002
ტრევის ნაითი	7 წელი/22 000 000	2000
ტაირონ ლიუ	4 წელი/2 800 000	2002
შაკილ ონილი	7 წელი/120 000 000	2003
ჯონ კელესტანდი	1 წელი/301 875	2000
ჯონ სეილი	1 წელი/510 000	2000
დივეინ ჯორჯი	4 წელი/4 091 773	2003
გლენ რაისი	6 წელი/27 000 000	2000
ბრაიან შოუ	1 წელი/510 000	2000

მილუოკი ბაქსი

მოთამაშე	კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი	კონტრაქტს ვადა გასდის
დერვინ ჰემი	1 წელი/460 000	2000
რეი ალენი	6 წელი/70 900 000	2005
სემ კასელი	6 წელი/21 000 000	2003
ვინი დელ ნეგრო	2 წელი/3 625 000	2000
რაფერ ალსტონი	2 წელი/510 000	2001
ერვინ ჯონსონი	7 წელი/15 000 000	2003
დენი მენინგი	6 წელი/38 000 000	2001
ჯეი არ რიდი	3 წელი/6 600 000	2002
გლენ რობინსონი	10 წელი/68 150 000	2004
ტიმ ტომასი	3 წელი/5 570 000	2000
რობერტ ტრეილორი	4 წელი/7 000 000	2002
ჰეივუდ ვორქმენი	1 წელი/1 000 000	2000
სკოტ ვილიამსი	7 წელი/18 000 000	2001
მირსად თურქჯანი	4 წელი/3 400 000	2002

ტომასის ფუჭი მოგზაურობა ჩიკაგოში

მილუოკელი ფორვარდი ფულს არ დახარბდა

ასლოვდება პირველი აგვისტო, თარიღი, როდესაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებსა და მოთამაშეებს ერთმანეთთან ხელშეკრულების ოფიციალურად გაფორმება შეეძლებათ. მანამდე კალათბურთელები და მათი მსურველები წინასწარ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ზოგიერთნი უკვე შეთანხმდნენ და კონტრაქტს ხელმოწერილა აკლია, ზოგიერთები კი ჯერაც ვერ მორიგებულან. ამჯერად თავისუფალი აგენტების ბაზარზე ყველაზე დიდ ინტერესს მილუოკელი ტიმ ტომასის გარშემო ატეხილი ხმაური იწვევს.

ტომასმა ლიგაში სამი სეზონი გაატარა და უკვე ორ გუნდში თამაში მოასწრო. მას ამ ზაფხულს დაუმთავრდა კონტრაქტი და მაშინვე სხვაგან გაექცა თვალი, რადგან თვლიდა, რომ „მილუოკი ბაქსში" ფრთები ფართოდ ვერ გაშალა. 208-სანტიმეტრიანი ტომასი ამპლუით მსუბუქი ფორვარდია, ჩვენებურად ფრთა, ამ პოზიციაზე კი „მილუოკიში" გლენ რობინსონი თამაშობს, რომელიც გუნდის ბომბარდია. მას იქიდან არავინ გაუშვებს და ტომასმაც წასვლა განიზრახა, მით უმეტეს, რომ სხვა გუნდის მონახვის სურვილს დაბალი ხელფასიც უძლიერებდა. მას აღარ დაუყოვნებია, მივდივარო, გამოაცხადა და მალე მოპატიჟეთა რიგიც დაუდგა. ამის შემხედვარე ტომასსაც რა ენაღვლებოდა, თქვა, ვინც მეტს გადამიხდის, იმისი ვიქნებიო.

ტომასის მსურველთაგან ყველაზე ჯიბესქელი აღმშენებლობის გზაზე მდგომი „ჩიკაგო ბულზია". იგი იმითაა ცნობილი, რომ სასურველ თავისუფალ აგენტებს, ჩიკაგოს აეროპორტში დიდი ზარ-ზეიმითა და ტაშ-ფანდურით ხვდება და ქალაქის გამოჩენილ სპორტულ მოღვაწეებთან შეხვედრას უწყობს. რამდენიმე ხნის წინ იქ ჩასულ ტრეისი მაკგრეიდისა და ედი ჯონსს მეფური პატივი სცეს, მაგრამ „ბულზის" მეთოდი, ამ გზით ხელთ ეგდო ესა თუ ის მოთამაშე, არცთუ ეფექტური გამოდგა. მაკგრეიდი, ფაქტობრივად, „ორლანდოშია, ჯონსს კი, მართალია, გუნდი ჯერ არ აურჩევია, მაგრამ „ჩიკაგოსკენ" მაინცდამაინც არ მიუწევს გული. „ხარების" ხელმძღვანელებმაც რომ დაინახეს, მოთამაშეთა პომპეზურ დახვედრებს ბევრი ვერაფერი ხეირი მოჰქონდა, თავი აღარ გაიმასხარავეს. ერთი კვირის წინ, როცა ტიმ ტომაში ჩიკაგოში ჩავიდა, აღარსად ჩანდა „ბულზის" მოცეკვავე გოგონათა გუნდი, აღარც გულშემატკივრები იყვნენ ძველებურად მრავლად. შეხვედრითაც მხოლოდ „ბულზის" წარმომადგენლები შეხვდნენ, თუ არ ჩავთვლით „ჩიკაგოს" ლიდერ ელტონ ბრენდს, რომელმაც ტომასი პირადად დაპატიჟა სადილზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „ჩიკაგო" ტომასს ფეიერვერკით არ დახვდა, მის გადასაბირებლად ფულიი არ დაიშურა და წინ ექვსწლიანი და 67,5 მილიონიანი კონტრაქტი დაუდო. ტომასმა ლიგაში მხოლოდ სამი სეზონი გაატარა, ნბა-ს მკაცრად განსაზღვრული წესები კი ასეთი მოთამაშისთვის მეტის მიცემას კრძალავს. ასე რომ, „ჩიკაგომ" კალათბურთელს მაქსიმუმი შესთავაზა. ტიმ ტომასი სუპერვარსკვლავი არაა და ასეთ სარფიან კონტრაქტზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია, ესეც რომ არა, ამხელა თანხის გადამხდელი არც ერთი გუნდი არაა, „ჩიკაგოს" გარდა. ფულმა კალათბურთელს თვალები დაუბრმავა და იგი თითქმის დათანხმდა, კარიერის მომდევნო ექვსი წელი იმ გუნდში გაეტარებინა, სადაც მაიკლ ჯორდანი თამაშობდა. გარიგებასაც წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ ეს იყო რამდენიმე დღის წინ.



ტიმ ტომასი

დღეს კი ტომასი სულ სხვა გადაწყვეტილების მიღებას აპირებს. გუშინწინ მან მოულოდნელად უარი უთხრა „ჩიკაგოსაც", „დეტროიტსაც" და მის ყველა სხვა მსურველსაც: დღეიდან ნულარ შემაწუხებთ, „მილუოკში" ვრჩებიო. ამ დღეებში იგი ესაუბრა მილუოკელ თანაგუნდელებს, რომლებმაც მეგობრულად ურჩიეს, ფულს ნუ გადაჰყვებიო, თავის დამრიგებელ ჯორჯ კარლსაც დაეკითხა ჭკუას. „ყოველთვის მჯეროდა ტიმის, ის ჭკვიანი ბიჭია, ნიჭიერი და თუ ცდუნებებს დასძლევს, ნათელი მომავალი ექნება. ვიცი, რომ ჩვენ გუნდს იმდენის გადახდის საშუალება არა აქვს, რამდენსაც ტომასი სხვაგან მიიღებს, მაგრამ მარტო ფული ხომ არ წყვეტს ყველაფერს. იგი ჩვენ გვჭირდება და ამას თვითონ მიხვდა. ამ სეზონში ტომასმა თავის შესაძლებლობებზე მეტი გამოავლინა, განსაკუთრებით პლეი ოფში და ყველანი სასიამოვნოდ გაგვაოცა. ვიტყვი, რომ მას ნამდვილად არაფერი წაუგია იმით, რომ ჩვენს ოჯახში დარჩა"— კმაყოფილებას ვერ მალავს „მილუოკის" მწვრთნელი. იგი ტომასს ჰპირდება, მატჩს საშუალოდ 35 წუთს გათამაშებო. ამდენ ხანს მოედანზე მხოლოდ სასტარტო ხუთეულის წევრები ატარებენ, ტომასი კი მაინც რჩება საუკეთესო, მაგრამ მაინც შემცვლელად. არაა გამორიცხული, კარლმა იგი ფორვარდის პოზიციაზე გაამწესოს. ტომასი საკმაოდ მაღალია, თუმცა წინახაზელთა კვალობაზე არცთუ ჯანიანი. გარდა ამისა, აქაც კონკურენციაა — ტომასმა უნდა ავჯობოს „გოლდენ სტეიტიდან" გადასულ ჯეისონ კეფის, რომელიც სუფთა თავდამსხმელია. ერთი სიტყვით, ტომასმა ვერ გადაჭრა ის პრობლემები, რომელთა გამოც „მილუოკის" დატოვებას ეშურებოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილია — „ბაქსი" პერსპექტიული გუნდია, ჰყავს კარგი მწვრთნელი და სავსებით შესაძლებელია, რამდენიმე წელიწადში ლიგის ერთ-ერთ ლიდერად იქცეს.

ირაკლი ფირაქვილი

ევროპული ამბები

იუგოსლავია

ობრადოვიჩმა იესტრატიევიჩი გააკანდიდატა

იუგოსლავიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჟელკო ობრადოვიჩს სადარდებელი არ ელევა. ჯერ იყო და ცენტრმა ვლადე დივაცმა იუარა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა და გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ბელგრადში დაწყებულ შეკრებაზე არც მეორე ცენტრი, დრაგან ტარლაჩი გამოჩენილა — პირადი პრობლემების მოგვარება ერთობ გაუხანგრძლივდა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ცენტრი ჟელკო რებრაჩა და თავდამსხმელი დეიან ტომაშევიჩი ტრავმირებულნი არიან, რის გამოც სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობენ. ამდენად, იუგოსლავიის ნაკრებს ტანმაღალი მოთამაშეების დეფიციტი გაუჩნდა.

ამის გამო ობრადოვიჩმა შეკრებაზე იხმო 24 წლის და 210-სანტიმეტრიანი ცენტრი ნიკოლა იესტრატიევიჩი, რომელიც ნაკრების კანდიდატთა თავდაპირველ სიაში შეყვანილი არ იყო. იესტრატიევიჩმა ახლახან გააფორმა კონტრაქტი ბოლონიის „კინდერთან". ობრადოვიჩის თქმით, ამიერიდან იესტრატიევიჩი ნაკრების სრულფასოვანი კანდიდატია და სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ბოლო მომენტამდე მოემზადება.

ჭრილი Perla
პ ე რ ლ ა
ჭრილი Perla
მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრია. მე-4 ტური

26 ივლისი

002	ბრეგენცი-რაპიდი	4,4	3,2	1,7
003	გრაცერი-ზალცბურგი	2,0	2,9	3,6

დანია. გადადებული მატჩი

26 ივლისი

004	ჰერფიოლგე-ოლბორგი	2,0	3,0	3,5

ნორვეგია. გადადებული მატჩები

26 ივლისი

006	ლილესტრიომი-ბოდიო გლიმ.	1,5	3,8	5,3
007	ვოლერენგა-ჰაუგესუნდი	1,6	3,3	5,3
008	მოლდე-ბრანი	2,4	3,0	2,6

ნორვეგია. თასის 1/8 ფინალი

26 ივლისი

009	სტარტი-ტრომსიო	3,1	3,2	2,1

გერმანია. ლიგის თასი (ნეიტრალურზე)

27 ივლისი

010	მიუნხენ 1860-კაიზერსლაუტ.	2,9	3,0	2,3

მჩ შესარჩევი მატჩები

26 ივლისი

504	ბრაზილია-არგენტინა	1,7	3,0	5,0

27 ივლისი

505	ბოლივია-პარაგვაი	2,0	2,9	3,6

ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. I მატჩები

26 ივლისი

506	შახტარი (უკრაინა)-ლევადია (ესტონეთი)	1,25	5,0	9,0
507	ზიმბრუ (მოლდოვა)-მარიბორი (სლოვენია)	2,3	3,0	2,9
508	ჰაკა (ფინეთი)-ინტერი (სლოვაკეთი)	2,0	3,1	3,4
509	ცრ.ზვეზდა (იუგოსლავია)-ტორპედო (საქართველო)	ანგარიში - 5,0		
510	სლავია (ჩეხეთი)-შამქირი (აზერბაიჯანი)	1,1	7,0	15,0
511	ბრიონდბიუ (დანია)-რეიკიავიკი (ისლანდია)	1,2	5,6	10,0
512	ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ბატე (ბელარუსი)	1,3	4,4	8,0
513	ბეშიქთაში (თურქეთი)-ლევსკი (ბულგარეთი)	1,5	3,5	6,0
514	დინამო (რუმინეთი)-პოლონია (პოლონეთი)	1,7	3,2	4,4
515	ანდერლეხტი (ბელგია)-ანორთოსისი (კვიპროსი)	1,2	5,6	10,0
516	ჰაიდუკი (ხორვატია)-დუნაფერი (უნგრეთი)	1,5	3,5	6,0
517	შტურმი (ავსტრია)-ჰაპოელი (თელ-ავივი/ისრაელი)	1,5	3,5	6,0
518	შელბურნი (ირლანდია)-რუსენბორგი (ნორვეგია)	4,4	3,2	1,7
519	რეინჯერსი (შოტლანდია)-ჟალგირისი (ლიტვა)	1,1	7,0	15,0

ინტერტოტო. 1/2 ფინალი. I მატჩები

26 ივლისი

520	ზენიტი (რუსეთი)-ბრედფორდი (ინგლისი)	2,3	3,0	2,9
521	სიგმა (ჩეხეთი)-ბლშანი (ჩეხეთი)	1,7	3,2	4,4
522	აუსტრია (ავსტრია)-უდინეზე (იტალია)	3,2	2,9	2,2
523	შტუტგარტი (გერმანია)-სტანდარდი (ბელგია)	1,35	4,0	7,5
524	ოსერი (საფრანგეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია)	1,8	2,9	4,4
525	სელტა (ესპანეთი)-ასტონ ვილა (ინგლისი)	1,9	2,9	4,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ავარია სიყვარულის გზაზე

ედი ირვინი: ანგელოზთანაც რომ იჯდე, თვალი მაინც მეზობლად მჯდომი ქალისკენ გაგექცევა

ედი ირვინი შეყვარებულია, ის დღედაღამ ერთსა და იმავე ქალზე ფიქრობს. ოღონდ პრობლემა ის არის, რომ სატრფომ ერთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ირლანდიელი პლეიბოი ორი თვის წინ მიატოვა.

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ყურადღება არასოდეს აკლდა. როდესაც თავისი პირველი რბოლის მოგება ედიმ მსოფლიოს ათ ყველაზე ლამაზ გოგოსთან... ჰმ, თავადაც მიხვდით, რას შეადარა, არავინ დაეჭვებულა, რომ მან იცოდა, რაზეც ლაპარაკობდა.

მაგრამ ამჟამად ირვინის გული და გონებაც სუპერმოდელ ანუკ ვურველდს ეკუთვნის: „ეს ორი თვეა, არავის ვხვდები, მისი შეცვლა თურმე ძალიან ძნელია. ანუკი რეალურ ცხოვრებაშიც ისეოვე ლამაზია, როგორც სურათებზე, თანაც ოქროს გული აქვს. ზოგჯერ დრო გჭირდება იმის გასაგებად, თუ რას გრძნობ სინამდვილეში ადამიანის მიმართ. ჩვენ გუშინაც ვისაუბრეთ ტელეფონით და დიდი იმედი მაქვს, რომ შევრიგდებით“.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრბოლისგან ამ სიტყვების მოსმენა მართლაც უცნაურია. წლების მანძილზე ირვინის ცხოვრების ფილოსოფია ასეთი იყო — „რაც უნდა მომხიბვლელ გოგოსთანაც უნდა იყო, მეორე მაგიდასთან მჯდომი ქალი მაინც უკეთესად გამოიყურება“.

ედი ირვინს თვალი სხვისკენ აღარ გაურბის, ის ანუკ ვურველდზეა შეყვარებული

და მაინც, ანუკთან რომანმა ედი შესამჩნევად შეცვალა. ის ერთ-ერთი იყო იმ სამ ქალთაგან, რომლებიც „ფერარის“ ყოფილ პილოტს ბელფასტში მშობლებთან გასაცნობად მიუყვანია. შარშან კი ირვინმა 3000 კილომეტრი იფრინა ავსტრიიდან ჩრდილოეთ ამერიკამდე, რათა სუპერმოდელთან რამდენიმე საათი გაეტარებინა.

„ერთმანეთს კარგად ვუგებდით. თავიდან ის არ მენდობოდა, მაგრამ მოდესაც მიხვდა, რომ ბერიერობასაც ბოლო მოწონდა, ყველაფერი მოგვარდა. ჩვენ ხასიათებითაც ვგავართ, ორივენი ამბიციურები ვართ“ — ამბობს ირლანდიელი.

საბოლოოდ მათ ურთიერთობას ქალის ხშირმა მოგზაურობამ მოულო ბოლო. „ანუკისთვის კარიერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ წუთს რომ ჩემს გვერდით იყო, მეორე დღეს მექსიკაში აღმოჩნდებოდა. ისე ხდებოდა, რომ უფრო ხშირად უკვე მის პლაკატებს ვხედავდი და ყოველთვიურად ერთმანეთის ხელახლა გაცნობა გვიხდებოდა. კი ვეცადეთ, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოვახერხეთ“.

თუმცა მაინცდამაინც ნუ შეიცოდებთ ედის. მისი ქონება 30 მილიონ დოლარზე მეტადაა შეფასებული, სამი სახლი აქვს მილანში, ოქსფორდშირსა და დუბლინში და, 100 ათასდოლარიანი „იაგუარის“ გარდა პირადი თვითმფრინავი „ფალკონი“ და 25-მეტრიანი იახტა „ანაკონდაც“ ეკუთვნის.

„დაახლოებით 10 კაცი მემსახურება, რომლებიც ჩემს ქონებასა და საქმეებზე ზრუნავენ. ამას წინათ მითხრეს, რომდენ კომპანიას ვფლობდი და ძლივს დავიჯერე. არადა, წელიწადში იმის 10 პროცენტსაც არ ვხარჯავ, რასაც გამოვიმუშავებ“.

ავთანდილ სვანიძე

ჯონსონმა ორასი შეიძულა

ამერიკის მძლეოსანთა ნაკრები, რომელიც თავის ქვეყანას სიდნეის ოლიმპიადაზე, ალბათ, სასახელოდ წარმოაჩენს, ფაქტობრივად დაკომპლექტებულია, მაგრამ მაიკლ ჯონსონისა და მორის გრინის თემაზე მასმედიის ნაყოფიერი მუშაობა არ შეწყვეტილა. „ტრაიელისზე“ მომხდარი ამბის შემდეგ ჟურნალისტების ყურადღების არეში ეს ორი დიდი მძლეოსანი კვლავ იმყოფება და ამჯერად ინტერესის საგანი ისაა, მიღებული ტრამვები მათ ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალებას ხომ არ მოუსპობს. გრინი შედარებით კარგადაა. მისი მწვრთნელის, ჯონ სმიტის თქმით, მორბენალი ორიდან სამ კვირამდე იუქმებს და მერე თავის საქმეს განაგრძობს. „რა ბედნიერებაა, რომ მორისმა ფინიშამდე მირბენა არ ისურვა — 200-მეტრიან ტრაგიკულ გარბენს გულისხმობს სმიტი — ნაღდად მძიმედ დაშავდებოდა.“ ახლა კი გრინი მხოლოდ მცირე ხნით მოსწყდა სარბენ ბილიკებს და მასმედიას იმის შესახებ ესაუბრება, რომ 23 ივლისს 26-ისა გახდა და 200 მეტრის მოგება თავს ვერ აჩუქა. გულისტკივილს ფანთა გაწბილების გამოც გამოთქვამს, ჩემი და ჯონსონის რბოლაზე კარგ საანახაობას ელოდნენ და ვერ გავუმართლეთო. „საერთოდ, რაც პრესაში მაიკლზე ვთქვი, არაფერს ვნანობ — გრინი ადამიანურ ურთიერთობათა სფეროშიც შეიჭრა — ასე იყო საჭირო და იმიტომ, თუმცა ჩვენ ერთმანეთთან გულახდილი საუბრის პრობლემაც არა გვაქვს.“ ამასვე იმეორებს თავად ჯონსონი, რომლის ტრავმა გრინისაზე სერიოზული რომაა, გუშინდელ „სარბიელში“ ნანახი ფოტოები დაგარწმუნებდათ — გრინი თავის ფეხით წაკოჭლავდა ექიმებისკენ, ჯონსონი კი გაიტანეს. და აი, დღესაც დანამდვილებით ვერავინ იტყვის, როდის გამოკეთდება ეს უკანასკნელი. დიაგნოზი სამშაბათს ან ოთხშაბათს უნდა დაესვათ.

ჯონსონი ოლიმპიადისთვის, ალბათ, მოიკეთებს, მთავარი კი სულ სხვაა — იგი არასოდეს ირბენს 200-მეტრიან დასტანციაზე. ეს მან ორშაბათს განაცხადა და მწვრთნელმაც (კლაიდ ჰერტი) დაადასტურა. უცნობია, განცხადება რამდენად ცხელ გულზე გაკეთდა, ყოველ შემთხვევაში, რომც მოინდომოს, ჯონსონი ოლიმპიურ 200 მეტრზე „ტრაიელსში“ ჩავარდნის გამო ისედაც ვერ გაიქცევა. იქამდე მას სხვაგანაც ჰქონდა გადაწყვეტილი ძალთა მოსინჯვა — 25 აგვისტოს ბრიუსელში და 3 სექტემბერს რიეტიში. განცხადებაზე დაყრდნობით ჯონსონი ვერც იმ ქალაქებში უნდა გვეხილა, მაგრამ ამერიკელის თქმით, იგი ურბენლად არ დადგება, ოღონდ 200-ის ნაცვლად 400-მეტრიან დისტანციებს გაირბენს, თუ იქამდე დაშავებული ბარძაყის მორჩენა შეძლო.

ამასობაში ამერიკელი მწვრთნელები ოლიმპიური ესტაფეტებისთვის მზადებას შეუდგნენ და გრინიც და ჯონსონიც ოლიმპიურ ოთხეულებში უსიტყვოდ მოახვედრეს: პირველი 4X100-მეტრიან ესტაფეტას ირბენს, მეორე — 4X400-იანს. არსებულ პრობლემათა მიუხედავად ამერიკის მამაკაცთა ნაკრების მწვრთნელს, ჯონ ჩაპლინს ორი რჩეულის ნაკრებში ჩარიცხვაზე წამითაც არ უყოყმანია. „გრინი და ჯონსონი ამერიკული მძლეოსნობის დღევანდელი ჩონჩხები არიან — შენიშნავს ჩაპლინი — ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ მათ ოლიმპიადაზე არ ირბინონ“. 4X100-ზე მორბენლები და კანდიდატები მალე ბერლინს წავლენ და ვარჯიშთან ერთად 1 სექტემბერს „ოქროს ლიგის“ ეტაპზეც იასპარეზებენ, ხოლო ჯონსონი და კომპანია ავსტრალიაში მოემზადება.

მაიკლ ჯონსონსა და მორის გრინს სიდნეიმდე ექიმებთან საქმის დაჭერა მოუწევთ

კენიური დეტექტივი

პასუხი კითხვაზე, სად მიდის ფული: გაგდება, დევნა და სროლა

როგორც ლაგოსიდან შევიტყვეთ, 21 წლის ფრენსის ობიკელუ, ნიგერიული „ტრაიელსის“ ნახევარფინალში ნაჭამი სირცხვილის მიუხედავად, მაინც გახდა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრი და სიდნეიში გამოვა. ამით ეს თემა ამოვწურეთ და უფრო საინტერესო ამბავიც ხელთა გვაქვს — კენიაში სკანდალია.

მოზეს ტანუი

რამდენიმე ხნის წინ ამ აფრიკული ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციასა და რჩეულ მძლეოსნებს შორის დაწყებული კონფლიქტი, ეტყობა, ვერ დასრულდა, მხოლოდ დროებით მიყუჩდა და ახლა ისევ იფეთქა. მაშინდელი ვითარება ასეთი იყო: კენიელებს ესპანეთში უნდა ერბინათ და ფედერაციის ჩინოსანთა და, უპირველესად გენერალური მდივნის, დევიდ ოკეიოს დანაშაულებრივი უნიათობის (მძლეოსნები ასე ამბობდნენ) წყალობით ერთი მათგანი შეჯიბრზე არ დაუშვეს. საუბარი იყო ბოიკოტსა და სხვა გართულებებზე, მაგრამ წყალნი წავიდნენ და მრავალთა მოთხოვნის მიუხედავად, ოკეიომ თანამდებობა შეინარჩუნა.

ავმეხსიერი კაცი ჩანს კენიური მძლეოსნობის მამა, გუშინწინ მისგან განხორციელებული მძლავრი კონტრადარტყმა კი ნაწილობრივ მაინც ადრინდელ ამბავთა გამომახილს წაგავს. მოხდა გასაოცარი — სამი რჩეული მემარათონე, ბოსტონის მარათონის ორგზის მომგები მოზეს ტანუი, იმავე მარათონის წლევანდელი ტრიუმფატორი ელია ლაგატი და ტოკიოს მარათონის გამარჯვებული იაფეტ კოსგეი, ოლიმპიური ნაკრებიდან გარიცხეს. იმათ ნაცვლად ჩარიცხულთა ჩინ-მედლებისა და ტიტულების ოდენობა კი დიდ აღტაცებას ვერ იწვევს. ოსორო ონდოროს შარშან ჩიკაგოს მარათონი კი მოუგია და ბოსტონში წლეულს მეოთხე იყო, კენედი ჩერიოტიც როტერდამში ყველაზე სწრაფი გახლდათ, ხოლო ერიკ ვაინაინა ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია, მაგრამ სად ნახსენები მარათონები და სად კიდევ ბოსტონის და ლონდონისა! ბოლო ორი შეჯიბრი მარათონულ რბოლათა ჭეშმარიტ მეფეებს ასახელებს და ამიტომაც, ბუნებრივია, კენიის ნაკრების დასაკომპლექტებლად ძირითადი კრიტერიუმები სწორედ მათი შედეგები იყო. ამდენად, „იურიდიული“ სიმართლე სპორტსმენთა მხარესაა, ახლა კი გარიცხვის დასახელებული მიზეზებიც ვნახოთ — ამპარტავნობა, მწვრთნელების აგდება და ვარჯიშების ჩაგდება ანუ ის, რასაც თბილისურ ჟარგონზე „გაბლატავებასაც“ უწოდებენ. ოკეის თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება მან ერთპიროვნულად კი არ მიიღო (არც ჰქონდა უფლება), არამედ მწვრთნელთა საბჭოსთან ერთად და იგი სამართლიანია, თუმცა გარიცხულთა მომხრეები სულ სხვას ამბობენ, პოლიტიკა ურევია საქმეშიო. ადრეული დავიდარაბის დროს ტანუიმ არაერთხელ მოითხოვა, ფედერაციის ბიუჯეტის მოძრაობა გამჭვირვალე უნდა გახდესო, ეს კი შესაძლოა ვილაცეებს ხელს არ აძლევდათ.

მოკლედ, ცეცხლმა იფეთქა და ნავთიც მალე გადაესხა. ნაკრებში ჩარიცხვის მეორე დღეს ოსორო ონდორო ცოლსა და ოთხის წლის ვაჟთან ერთად შინ მიდიოდა, გზაზე ვილაცეები შეეყარნენ, კისერში ტყვია ესროლეს და მანქანა წაართვეს. ონდორო საავადმყოფოშია და გადარჩება. კენიაში ბოლოხანს მანქანების გატაცება კი მოხშირებულა, მაგრამ ამბავთა ასე დამთხვევამაც ცალკე სალაპარაკო გაუჩინა ხალხს, მოკვეთილთა შურისძიების ვერსიაც წამოტივტივდა. იქით კიდევ კენიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, კიპჩოგე კეინომ ატეხა ხმაური, ზედ ოლიმპადის წინ ნაკრების ასე დასუსტება სადაური წესიაო, წყრომით მიმართა ოკეიოს და ძმათა მისთა. კეინო თურმე საკითხის ოლიმპიადისთვის მზადების კომიტეტის ბიუროზე გატანასაც აპირებს და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯერ არაფერი დამთავრებულა. ძალიან კი დააკლდებიან ოლიმპიადას ტანუი, ლაგატი და კოსგეი.

დავით გულუა

ქართულ სპორტში პრობლემას რა გამოლევს. ხელბურთელებსაც, რასაკვირველია, საკმაოზე მეტი დაუგროვდათ განსახილველ-გადასაჭრელი და სწორედ ამიტომ შეიკრიბა ასოციაციის პრეზიდიუმი თავის მორიგ სხდომაზე.
დღის წესრიგში ათზე მეტი პუნქტი იყო, ცხადია, ყველა მნიშვნელოვანი, თორემ შედარებით უბრალოსაც კი ამ დონეზე განსახილველად არავინ გამოიტანს. ქართული ხელბურთის თავკაცთა შეკრებას, რომელსაც ტრადიციულად ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი უძღვებოდა, ჟურნალისტები, ბუნებრივია, არ დაგვასწრეს. ამდენად, განხილულ საკითხებზე შესაბამის გადაწყვეტილებათა შესახებ ინფორმაცია ასოციაციის გენერალურმა მდივანმა თამაზ თევზაძემ მოგვაწოდა.

თუ პლეი ოფში გინდა, შინაც უნდა ითამაშო

მთავარი თემა განვლილი საშეჯიბრო ციკლის შეჯამება, აგრეთვე სამომავლო, კონკრეტულად კი კარს მომდგარი სეზონისთვის სამზადისი და საამისო ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებელი გზების მოძებნა გახდა.

თამაზ თევზაძე

როგორც ბატონმა თამაზმა აღნიშნა, ეროვნულ თუ სანაკრებო მატჩებს გაზეთი „სარბიელი“ მუდამ საკმაო ადგილს უთმობდა და რეგულარულად აშუქებდა, მკითხველიც საქმის კურსშია და ამიტომ ჩატარებულ ღონისძიებებს აღარ დავუბრუნდებით.

პრეზიდიუმზე მერამდენედ ითქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატი ორგანიზაციული და სპორტული თვალსაზრისითაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრად შორსაა სასურველი დონისგან. უპირველესად მოსაგვარებელია მსაჯობის, დარბაზების მოწყობის საკითხები. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს კვლავ ვულოცავთ რა დამსახურებულ გამარჯვებას, იმავდროულად გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ მეტოქეები ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ უცვლელ ჩემპიონს. ის კი არა, პირველობას შუა გზაზე გამოეთიშა ერთერთი მონაწილე — ზოოვეტერინარული აკადემიის გუნდი. სტუდენტებმა საწყის ორ ტურში კი ითამაშეს, მაგრამ საწვრო შესატანის გადაუხდელობის გამო შემდეგ ასპარეზობიდან მოხსნეს. „ზოოვეტს“ ერთი თეთრიც არ გადაურიცხია ასოციაციის ანგარიშზე, ზოგიერთი სხვა ვალიანი კი იმიტომ გადაურჩა მოკვეთას, რომ სავალდებულო 500 ლარის თუნდაც ნახევრის შეტანა მაინც მოახერხა.

თენგიზ გაზდელიანი მკაცრად მიუდგა ეროვნული ასოციაციის წევრთა (რეგიონალური ფედერაცია, კლუბი, სპორტსკოლა) იურიდიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციული მოწყობის საკითხს. შარშანდელ რიგგარეშე ყრილობაზე მიღებული ახალი წესდების შესაბამისად, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა ასოციაციაში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიარონ, ესე იგი, გატარდნენ, როგორც იურიდიული პირები. საამისოდ არც ისე ბევრია საჭირო — კლუბის წესდების ან დებულების წარდგენა და საწვრო გადასახადის შეტანა. თანხა სასაცილო თუ არა, კატასტროფული ნამდვილად არაა: თვეში ერთი ლარი 17 წლამდე სპორტსმენებისთვის და ორი — უფროსებისთვის. მართალია, რთული საქმე სულაც არ გახლავთ, მაგრამ თითქმის ყველას, სტუს გარდა, ამისთვისაც ვერ მოუბამს თავი. პრეზიდენტმა ურჩებს ვადა სამიოდე თვე, ანუ მომავალი პირველობის დაწყებამდე მისცა.

ტრადიციულად იმედს გამოვთქვამთ, რომ ასოციაციის მოთხოვნები შესრულდება და მომავალი, მე-11 ჩემპიონატი უფრო ორგანიზებულად და რაც მთავარია, მაღალ სპორტულ დონეზე ჩაივლის.

ფინანსურმა სირთულეებმა ბავშვთა ლიგაც აზარალა, კერძოდ, ქუთაისის , ბათუმის, ფოთის, სამტრედიის გუნდები. ცხადია, მისასალმებელია, რომ ამ რეგიონების წარმომადგენლები საერთოდ ჩაებნენ ასპარეზობაში, მაგრამ ყველამ მაინც ვერ შეძლო ოთხივე ტურში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ კვებისა და დაბინავების ხარჯების დაფარვა ასოციაციამ ითავა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — 1984/85 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრების შექმნა. პრეზიდიუმმა დაავალა უფროსთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს, იმავდროულად ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპორტული სკოლის დირექტორს, ზაზა დოლიძეს ნაკრების კანდიდატთა და მწვრთნელის შერჩევა. მომავლის გუნდს საკმაო შანსი აქვს, გაიაზად ზაფხულის ტრადიციულ ოლიმპიურ კვირეულში იასპარეზოს. სათანადო თხოვნა ტურნირში დაშვების შესახებ კარგა ხანია, გაგზავნილია ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და საორგანიზაციო კომიტეტში. ჩვენს სურვილს, იმედია, ყურად იღებენ და საქართველოს სპორტულ ღირსებას ესპანეთის ქალაქ მურსიაში ინდივიდუალური სახეობების წარმომადგენლებთან ერთად პირველად ხელბურთელებიც დაიცავენ. ოპტიმიზმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ევროპულმა ფედერაციამ ჯერ შეუქმნელი ნაკრების მოსამზადებლად, კერძოდ, ორკვირიანი შეკრებისთვის თანხა უკვე გადმოგვირიცხა. შეკრება ავგისტოს დამდეგს ლაგოდეხში ან ქობულეთში მოეწყობა, ხოლო ოლიმპიურ დღეებში ჩვენების დაშვება-არდაშვების საკითხი მოგვიანებით, შემოდგომაზე გადაწყდება.

ბოლოს დამდეგი სეზონის უმთავრესი ღონისძიების — ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შესახებ. ოთხგუნდიან ჯგუფში თამაშები ორ წრედ, 5-23 იანვარს ჩატარდება. ზაზა დოლიძის აზრით, საქართველოს ნაკრებს გათამაშების შემდგომ ეტაპზე (პლეი ოფში) გასვლის კარგი პერსპექტივა აქვს. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდს ექნება სათანადო ფინანსურ-ორგანიზაციული მხარდაჭერა, რაც ზამთარში თბილისის სპორტის სასახლის გათბობასა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ წინა ციკლის მსგავსად საშინაო თამაშების ჩატარება კვლავ სტუმრად არ მოგვიხდეს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას მხოლოდ ასოციაციისა და სპორტის სასახლის დირექციის ძალისხმევა არ ეყოფა, აუცილებელია საკითხის უფრო მაღალ, ქალაქის მერიის ხელმძღვანელობის დონეზე გადაწყვეტა.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ ექვს მატჩში მონაწილეობისათვის უზარმაზარი თანხა არაა საჭირო — სულ 120-130 ათასი ლარი, რადგან ბედმა გაგვიღმა და წილისყრამ მეტოქეებად თითქმის კარის მეზობლები (თურქეთი, საბერძნეთი, ბოსნია) გვარგუნა.

ერთი სიტყვით, დრო ჯერ კიდევ გვაქვს საიმისოდ, რომ პრობლემებს ეშველოს და საპლეიოფო შანსი ხელიდან არ გაგვიფრინდეს.

გია ახალაძე

წყალზე მფრინავი ბებერი ქალბატონი

„მფრინავმა ჰოლანდიელმა“, მოცურავე ქალბატონმა ინგე დე ბრუინმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ კარიერის დასასრულს უნიკალურ ფორმაშია.

ინგე დე ბრუინი

26 წლის დე ბრუინმა, რომელიც უკვე სამი წელია, რაც ოკეანისგაღმა ვარჯიშობს და ამ გაზაფხულამდე სერიოზული წარმატებებისთვის არ მიუღწევია, დანაკლისის ანაზღაურება ერთბაშად მოინდომა. მაისიდან მოყოლებული მან შვიდი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ახლახან მათი რაოდენობა რვამდე გაზარდა.

აშშ-ში, ფედერალ ვეიში სენიორთა XII „დიდი წყლის“ რეგიონალურ ჩემპიონატზე დე ბრუინმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 27 მაისს შეფილდში, გრან პრის ტურნირზე დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (56,69) ხუთი მეასედი წამით გააუმჯობესა — 56,64.

— მისი ასეთი შედეგი ადასტურებს, რომ შეფილდში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი შემთხვევითობა არ იყო — განაცხადა დე ბრუინის მწვრთნელმა პოლ ბერგენმა, რომელიც ორწელიწადნახევარია, რაც თავის შეგირდს ავარჯიშებს.

მსოფლიოს რეკორდის გარდა დე ბრუინმა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით აშშ-ს ღია ჩემპიონატის რეკორდებიც დაამყარა, შესაბამისად — 24,50 და 54,01.

აღსანიშნავია, რომ მისი მსოფლიოს რეკორდების შემყურეს ბევრს ეჭვიც აღეძრა, რაღა ამ „სიბერეში“ მოუნდა თავის გამოდება. რომ არა დამხმარე პრეპარატები, იგი შეფილდში ოთხ მსოფლიოს რეკორდს როგორ დაამყარებდაო. თუმცა, როგორც დე ბრუინის მწვრთნელი ამბობს, ეჭვიანებისთვის ხმის ჩასაკმედად იმ დოპინგ ტესტირების პასუხებიც გამოდგება, რომლებიც ჰოლანდიელმა ასპარეზობის დამთავრებისთანავე გაიარა.

საგულისხმოა ცურვის საერთაშორისო ფედერაცის (ფინა) გადაწყვეტილებაც. დე ბრუინის ორგანიზმი რომელიმე აკრძალული სტიმულატორით რომ ყოფილიყო გაჭყეპილი, მაშინ მის მსოფლიოს რეკორდებსაც არ აღიარებდა.

კარგია, როდესაც მსოფლიოს საუკეთესო შედეგებს ამყარებ, მაგრამ მათ დაგვირგვინებაც სჭირდებათ, საამისოდ კი დე ბრუინს სიდნეის ოლიმპიური თამაშები მიაჩნია. იქ წარმატების შემთხვევაში ხომ მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერება სპორტის ისტორიაში.

გიგა გურასაშვილი

სრულიად მოტორბოლის მეფე?

ფანტასტიკური ყმაწვილი! სხვა სიტყვას ძნელად მოძებნი ამ 21 წლის იტალიელის შესაფასებლად. ქომაგებით დაწყებული და სპეციალისტებით დამთავრებული ყველა დარწმუნებულია, რომ ვალენტინო როსი სულ მალე სრულიად მოტორბოლების მეფედ ეკურთხევა. სრულიად იმიტომ, რომ კლას 125-სა და კლას 250-ში იტალიელმა უკვე დაიდგა გვირგვინი. ჯერი ახლა ყველაზე პრესტიჟულ ხუთასიანებზეა! კლასებს შორის მოტოციკლის წონისა და ძრავის სიმძლავრის განსხვავების გამო (ბუნებრივია, დიდი განსხვავებაა სიჩქარეებშიც), ერთიდან მეორეში გადასვლა საკმაოდ რთული და ხანგრძივი პროცესია. ვალენტინომ 125-დან 250-კენ სავალი საკმაოდ იოლად დაძლია, და როგორც ჩანს ასევე იოლი გამოდგა მისთვის 250-დან 500-კენ მიმავალი გზაც. წლევანდელი სეზონის დასაწყისში რამდენიმე დავარდნისა და ერთობ მოკრძალებული შედეგების შემდეგ ივლისში როსიმ ჩვეულებრისამებრ აიწყვიტა. ბრიტანეთის დიდ პრიზზე საკმაოდ ფრთხილი სტარტის შემდეგ (წვიმდა), როსი მეთერთმეტე იყო პელოტონში. ის, რაც მერე მოხდა მოტორბოლების მოყვარულთ ძალიან დიდხანს დაახსომდებათ. ერთ რბოლაში 14 გადასწრება! ბოლოს კი პოდიუმის უმაღლესი საფეხური და პირველი უმაღლესი ტიტული კლას 500-ში.

ვალენტინო როსიმ ალექს ბაროსი შამპანურით გაწუწა

ასეთი რამე რაც ძალზე იშვიათობაა რბოლებში, მაგრამ არა ვალენტინო როსისთვის.

კვირას, გერმანიის დიდ პრიზზე გამართულ რბოლებში ეს ფანტასტიკური რამ ისევ განმეორდა. როსიმ ისევთვე ფრთხილი სტარტის შემდეგ პელოტონში მხოლოდ და მხოლოდ მე-16 ადგილი დაიკავა. სტარტი ამ მრბოლისთვის სულაც არ არის აქილევსის ქუსლი, როგორც ჩანს გუნდის სპორტული დირექტორი სასტარტო აყალმაყალში ავარიის გამორიცხვის მიზნით, როსის ცოტა არ იყოს წამგებიან, მაგრამ რბოლის უსაფრთხო დაწყებას უგეგმავს.

ნელი სტარტი გნებავთ? კი ბატონო, იყოს ნელი. 5 წამიანი ფორა? კი ბატონო, იყოს 5 წამიანი. მაინც ჩემს ხელში არ არიან?

ალბათ, ასეც ფიქრობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. ყოველ შემთხვევაში მისი მშვიდი, აუღელვებელი რბოლის მანერის შემხედვარეს ამგვარი რამ აუცილებლად მოგივა თავში. ასეა თუ ისე, როსიმ დაიწყო და 15 (!) გადასწრების შემდეგ პირველ ადგილზე ამოჰყო თავი. მის მსხვერპლთა შორის მარტო სამი მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ამ მომენტისთვის ფინიშამდე ორი წრე რჩებოდა...

ბრაზილიელი ალექს ბაროსი ყველა თავზეხელაღებულ მრბოლად ითვლება. იგი ძალზე ხშირად არის ლიდერთა შორის, მაგრამ ასევე ხშირად ხრეშზე ან ბალახზე უწევს რბოლის დასრულება. აი, სწორედ ამ კაცმა გარისკა და უკანასკნელისწინა წრეზე გადაუსწრო როსის. რა თქმა უნდა, ისევ შეიძლებოდა ლიდერობის დაბრუნება, მაგრამ ეს ბაროსისთვისაც და როსისთვისაც შეიძლებოდა სავალალოდ დასრულებულიყო. როსიმ მშვიდობიანი ფინიში და 20 ქულა არჩია, მით უფრო, რომ ბაროსი საერთო ჩათვლაში ჩამორჩება იტალიელს.

ორ დანარჩენ კლასში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. პოზიციები განამტკიცეს ლიდერებმა.

ირაკლი ბერიაშვილი

მსოფლიოს თასი. გერმანიის დიდი პრიზი

125 კუბსმ
1. იოუიჩი უი (დერბი,იაპონია)
2. რობერტო ლოკატელი (აპრილია, იტალია)
3. სიმონე სანა (აპრილია, იტალია)

250
1. ოლივიე ჟაკი (იამაჰა, საფრანგეთი)
2. ტორუ უკავა (ჰონდა, იაპონია)
3. შინუა ნაკანო (იამაჰა, იაპონია)

500
1. ალექს ბაროსი (ჰონდა, ბრაზილია)
2. ვალენტინო როსი (ჰონდა, იტალია)
3. კენი რობერტსი (სუზუკი, აშშ)

საერთო ჩათვლა

125
1. იოუიჩი უი (დერბი) — 145 ქ.
2. რობერტო ლოკატელი (აპრილია) — 135
3. მირკო ჯიანსანტი (ჰონდა) — 117

250
1. ოლივიე ჟაკი (იამაჰა) — 185
2. შინუა ნაკანო (იამაჰა) — 169
3. ტორუ უკავა (ჰონდა) — 165

500
1. კენი რობერტსი (სუზუკი) — 161
2. კარლოს ჩეკა (იამაჰა) — 123
3. ვალენტინო როსი (ჰონდა) — 112

პარიზში ტურის საუკეთესონი გამოფინეს



პარიზში, ელისეს მინდვრებზე დასრულდა 87-ე „ტურ დე ფრანსი“, ველოსპორტის უპრესტიჟულესი ტურნირი. სამი კვირის განმავლობაში პელოტონმა მთელი საფრანგეთი მოიარა და მშვენიერი რბოლების მოწმენიც გავხდით, რომელთა შედეგადაც სხვადასხვა ჩათვლების გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. დღეს გთავაზობთ „ტურის“ ყველა ჩათვლის პირველ ხუთეულებს. აქ ბევრი ნაცნობი სახელი იქნება, ზოგისთვის კი ეს პირველი წარმატებაა. ლენს არმსტრონგის შესახებ მთელი „ტურის“ მანძილზე ვისაუბრეთ, ახლა კი სხვებს დავუთმოთ ყურადღება.

იან ულრიხი — ყველაზე ნიჭიერი მრბოლი

ამ ეპითეტით ტელეკომელი მისმა მთავარმა მეტოქე არმსტრონგმა შეამკო. იან ულრიხი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ტურში“ ოთხჯერ გამოვიდა, მხოლოდ შარშან თქვა უარი საფრანგეთში ჩასვლაზე, ისიც ტრავმის გამო. ჰოდა, ოთხჯერვე როსტოკელი რობოტი პოდიუმზე ავიდა. 1997 წელს ჩემპიონი გახდა, 1996, 1998 და 2000 წლებში კი მეორეობას დასჯერდა. აღმოსავლეთ გერმანიაში გაზრდილი ულრიხი ამჟამად ფრაიბურგის მახლობლად, მერდინგენში ცხოვრობს თავის საცოლე გაბისთან ერთად. მას „ტურის“ მოგების შემდეგ, სპეციალისტები ედი მერქსისა და ბერნარ ინოს დარ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 26 წლის მრბოლმა ვერ გაამართლა, რაშიც დამნაშავე მისი ზედმეტი წონაა. მომავალი სეზონიდან ულრიხი საკუთარ თავს ბრძოლას უცხადებს და თუ აჯობა, ახალი საუკუნის პირველი „ტურის“ მთავარი ფავორიტიც იქნება.

„იანი ჯენტლმენია. იგი ჩემი ყველაზე სახიფათო მეტოქეა“ — იმეორებდა ხოლმე არმსტრონგი, თუმცა... ფრაიბურგიდან მიულუზამდე გამართულ ინდივიდუალურ რბოლაში ულრიხმა მეორე ადგილი დაიკავა, პირინეებსა და ალპებში კი ვერც ერთხელ გადავიდა შეტევაზე და ამერიკელს პრობლემები ვერასოდეს შეუქმნა. ასე რომ, წლეულს მეორე ადგილი მისთვის მაქსიმუმი იყო. გაისად კი ვნახოთ.

ხოსება ბელოკი — პოდიუმის მოულოდნელობა

პარიზული პოდიუმის მესამე საფეხური შარშანდელივით ესპანელმა დაიკავა. ფერნანდო ესკარტინი ხოსება ბელოკიმ შეცვალა, რომელმაც „ტურში“ პირველად მიიღო მონაწილეობა. 26 წლის ბასკი წლევანდელი „დიდი მარყუჟის“ აღმოჩენაა. იგი პროფესიონალი 1998 წელს გახდა, პირველი დიდი წარმატება კი ამ გაზაფხულზე „რომანდიის ტურის“ ინდივიდუალური რბოლის მოგება იყო. თანაც ბელოკი მშვენიერი მთიელიცაა და მისი მესამეობა ლოგიკურადაც უნდა მივიჩნიოთ. „თავის გაკონტროლება მჭირდება ხოლმე, რადგან ძალიან იმპულსური ვარ და

კრისტოფ მორო და ხოსება ბელოკი

სულ შეტევაზე ვფიქრობ“ — ამბობს ბელოკი, რომლის დამუხრუჭებასაც „ფესტინას“ სპორტული დირექტორი ხუან ფერნანდესი კარგად ახერხებდა. ბასკმა, რომელსაც ერთ დროს მიგელ ინდურაინის შეცვლა სურდა, ველოსიპედს ორი წლის წინ ლამის თავი დანება. „მხატვრის დიპლომი ავიღე და გადავწყვიტე, სპორტისთვის თავი დამენებებინა“ — იხსენებს იგი. მაგრამ ბასკურმა გუნდმა „ესკალტელმა“ ველოსპორტთან გამოთხოვება გადაათქმევინა, ამ სეზონის დამდეგს კი ხოსება განახლებულ „ფესტინაში“ გადავიდა და ესპანელთაგან ყველაზე კარგი შედეგიც აჩვენა „ტურზე“.

კრისტოფ მორო — საუკეთესო ფრანგი

რამდენიმე ხნის წინ მოროს „ტურზე“ მეოთხე ადგილი კი არა, საერთოდ კარიერის გაგრძელებაც კი სანატრელი ჰქონდა. სეზონის დასაწყისში მან მძიმე ტრავმა მიიღო და თუ ფორმაში ასე უცბად ჩადგებოდა, არავის სჯერდა. მშვენიერი ინდივიდუალისტი ბოლო ხანებში მთებშიც საკმაოდ კარგად დადის, ამიტომაც აჯობა დანარჩენ თანამემამულეებს. „მძიმე დრო მედგა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე სპორტში დასაბრუნებლად“ — ამბობს 29 წლის ბელფორელი, ვინც „ფესტინას“ საქმეში იყო გარეული. 1998 წელს მან აღიარა დოპინგის გამოყენება და ექვსთვიანი დისკვალიფიკაციაც მოიხადა. მორო რამდენიმე ყოფილ ფესტინელთან ერთად კარგა ხანს სიერა ნევადაში (ესპანეთი) ვარჯიშობდა, სანამ შეჯიბრებებს დაუბრუნდებოდა. „დავრწმუნდი, რომ მთებში იან ულრიხს არაფრით ჩამოვრჩები. მეც საკმაოდ მოვლონიერდი“ — თქვა „ტურის“ ფინიშის შემდეგ „ფესტინას“ ლიდერმა.

სანტიაგო ბოტერო — კოლუმბიელი მთიელი

„ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში მეორედ მოხდა, რომ მთის მეფის ჩათვლაში კოლუმბიელმა გაიმარჯვა. ბოტერომდე ეს ლუჩო ერერამ შეძლო. ბოტერო მთებიდან შორს, მედელინში დაიბადა და თავიდან არც უფიქრია საგზატკეცილო ველორბოლაში გამოსვლა — იგი ტრეკით იყო გატაცებული. მერე კი შემთხვევამ „კელმეში“ მიიყვანა. „ერთხელ, ვარჯიშისას, ძალიან აღმართებიან გზაზე 60 კილომეტრი უნდა გაგვეელო. მხოლოდ გზის ნახევარი დავფარე. მაშინ მითხრეს, რომ თუ ათიოდე კილოს დავიკლებდი, კარგი მრბოლი გავხდებოდი, ეგებ მშვენიერი მთიელიც“ — იხსენებს ბოტერო „კელმეში“ მისვლის პერიოდს. 27 წლის მრბოლი თვლის, რომ ბრიანსონში გამარჯვება ბოლო ერთი წლის ქანცგამწყვეტი ვარჯიშების შედეგია და ამ წარმატებას თავის კარიერაში პირველ ადგილზე აყენებს. ისე, მისი კარიერა გაუგებრობის გამო შეიძლებოდა შეწყვეტილიყო კიდეც. კოლუმბიელი მრბოლის ორგანიზმი ტესტოსტერონის ნორმალურზე მეტ რაოდენობას გამოიმუშავებს და იგი დოპინგის მოყვარული ეგონათ, თუმცა მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში ერთ კვირის განმავლობაში გამოიკვლიეს და სიმართლეც დაადგინეს. თუმცა ერთხელ ბოტეროს ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდამ მაინც მოუწია.

ორი ერიკი და ფრანსისკო

საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურა ერიკ ზაბელმა მოიპოვა. მას ეს პირველმა მწვანედ თმაშელებილმა და მწვანევე მაისურაში გამოწყობილმა საკუთარმა ვაჟმა რიკმა მიულოცა პოდიუმზე. ზაბელი ულრიხის მსგავსად აღმოსავლეთ გერმანიიდან, ბერლინიდანაა. ბოლო ხუთი წელია, მისი დარი პეპელა „ტურზე“ არ გამოჩენილა და მანაც რეკორდი დაამყარა. აქამდე ამდენი მწვანე მაისურა არავის მოუგია. ისე, ზაბელს „ტურის“ ეტაპზე 1997 წლის შემდეგ ველარ ემარჯვა და შაბათს ტრუაში მიღწეული წარმატებით უზომოდ გაიხარა.

მისი სეხნია ერიკ დეკერი საუკეთესო მებრძოლი გახდა და მასზე ალაპიცაა. გარდა იმისა, რომ ჰოლანდიელმა მრბოლმა სამ ეტაპზე იპირველა, იგი გამუდმებით შეტევასა და გაქცევაზე ფიქრობდა და სიძვიდის მოყვარულ პელოტონელებს ნერვებიც გვარიანად დაუწყვიტა. რაბობანკელს ორი დღით წითელკოპლებიანი თეთრი მისურაც კი ემოსა. საერთო ჯამში დეკერმა პელოტონის წინ 600 კილომეტრზე მეტი გაატარა, რაც ერთობ შთამბეჭდავი შედეგია.

ფრანსისკო მანსებო ახალგაზრდებს შორის ყველაზე უკეთ გამოვიდა. ბანესტოელი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა, პროფესიონალის კარიერა კი ორი წლის წინ დაიწყო. შარშან იგი „ტურზე“ 28-ე ადგილს დასჯერდა, ამ სეზონში კი უკვე მშვენივრად იასპარეზა და ათეულშიც შეაღწია (მე-9 ადგილი). „ტურის“ დაწყებამდე მანსებომ რამდენიმე ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. „სამხერთის გზაზე“ მეორე ადგილი დაიკავა, პარიზ-ნიცაში კი მესამე იყო. ეს შედეგები იმის წინაპირობას იძლევა, რომ ერთ-ორ წელიწადში პელოტონს კიდევ ერთი ძლიერი წევრი ეყოლება, რომელიც დიდი შეჯიბრებების მოსაგებად იბრძოლებს.

გაიოზ თალაძგაძე



ფრანსისკო მანსებო, ერიკ ზაბელი, ლენს არმსტრონგი და სანტიაგო ბოტერო ეიფელის კოშკთან

საერთო ჩათვლა — ყვითელი მაისურა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი)	92სთ 33წთ 08წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი)	+6წთ 02
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა)	+10წთ 04
4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა)	+10წთ 34
5. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე)	+11წთ 50

საუკეთესო მთიელი — წითელკოპლებიანი თეთრი მაისურა

1. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე)	347 ქულა
2. ხავიერ ოჩოა (ესპანეთი, კელმე)	283
3. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი)	267
4. პასკალ ერვე (საფრანგეთი, პოლტი)	234
5. ნიკო მატანი (ბელგია, კოფიდისი)	164

საუკეთესო სპრინტერი — მწვანე მაისურა

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)	321 ქულა
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, ფარმ ფრაიტსი)	203
3. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა)	184
4. ემანუელ მანიანი (საფრანგეთი, ფრანსეზი)	157
5. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)	138

საუკეთესო ახალგაზრდა — თეთრი მაისურა

1. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო)	92სთ 51წთ 17წმ
2. გვიდო ტრენტინი (იტალია, ვინი კალდიროლა)	+17წთ 48
3. გრიშა ნიერმანი (გერმანია, რაბობანკი)	+33წთ 57
4. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე)	+59წთ 35
5. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი)	+1სთ 54წთ 54

საუკეთესო მებრძოლი

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)	99 ქულა
2. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე)	98
3. კრისტოფ ანიოლუტო (საფრანგეთი, პრევუაიანსი)	79
4. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი, ლოტო)	77
5. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი)	70

გუნდური ჩათვლა

1. კელმე (ესპანეთი)	278სთ 10წთ 47
2. ფესტინა (საფრანგეთი)	+13წთ 42
3. ბანესტო (ესპანეთი)	+18წთ 21
4. ტელეკომი (გერმანია)	+40წთ 08
5. ლოტო (ბელგია)	+1სთ 11წთ 50

„ტური“ დამთავრდა, გაუმარჯოს „ტურს“!

ორი დღეა დასრულდა „ტურ დე ფრანსი“ და შეჯიბრის დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა უკვე მომავალი „ტურის“ გზა გამოიტანა საჯაროზე. იგი, წლევანდელისგან განსხვავებით, საათის ისრის მიმართულებით გაიმართება.

პროლოგი ჩრდილოეთ საფრანგეთში, საპორტო ქალაქ დანკერკში მოეწყობა. პირველ ეტაპზე პელოტონი სენტ-ომერიდან ბულონამდე არსებულ გზას გაივლის. მეორე ეტაპზე კი „ტური“ ფლანდრიას ეწვევა. ჟან-მარი ლებლანის თქმით, კალეში დაწყებულ გზას პელოტონი ბელგიურ ანტვერპენში გაასრულებს.

შემდეგ ფრანგულენოვან ვალონიაშიც გადავლენ „ტურის“ მონაწილეები და ლიეჟს ესტუმრებიან, საიდანაც საფრანგეთს, კერძოდ კი ლოტარინგიას დაუბრუნდებიან.

მერე კი მთიანი ეტაპების რიგიც დადგება. მრბოლები ჯერ ალპებში მოსინჯავენ ძალებს, პირინეებში კი ამის მერეღა გადავლენ. წლევანდელისგან განსხვავებით, გაისად ესპანეთის საზღვართან მდებარე მთებში ერთ დღესე მეტს დაჰყოფს პელოტონი და გაცილებით რთული გზაც ექნება გასავლელი.

ჟან-მარი ლებლანმა თავისი შეჯიბრის შეფასებაც სცადა, რომელიც ორი წლის წინ „ფესტინასა“ და დოპინგთან დაკავშირებული სკანდალის გამო, ლამის ჩაიშალა კიდეც. „შარშან განახლების წელიწადი იყო. წლეულს კი ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა ორგანიზაციული და სპორტული თვალსაზრისით. „ტურის“ პოპულარობაც ძალიან გაიზარდა“ — თქვა ლებლანმა და ამის დასტურად გერმანელ პოლიციელთა მონაცემები მოიყვანა.. თურმე, ლოზანადან ფრაიბურგამდე გამართულ ეტაპს, მხოლოდ გერმანიის გზებზე 1,5 მილიონი მაყურებელი ჰყოლია. მთლიანად, „ტურს“ კი 20 მილიონამდე ადამიანი მიუზიდავს.

„საუკუნის უკანასკნელი „ტურ დე ფრანსი“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო“ — ამ სიტყვებით დაამთავრა ჟან-მარი ლებლანმა ჟურნალისტებთან საუბარი და მომავალი „ტურისთვის“ სამზადისს შეუდგა.

გაგი გურული

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მრბოლთა კლასიფიკაცია ძალთა ობიექტურ შეფასებას ნამდვილად ვერ ასახავს. საქმე ისაა, რომ აქ მოწინავე ადგილს ის იკავებს, ვინც უფრო მეტ შეჯიბრში მონაწილეობს და მეტ ეტაპს იგებს. ასე რომ, ამ კლასიფიკაციაში ნამდვილთა გვერდით ხშირად პეპლებსა და მეორეხარისხოვან მრბოლებსაც წააწყდებით, თორემ „ტურის“ გამარჯვებული ლენს არმსტრონგი რომ დღეისთვის უძლიერესია, სადავო სულაც არ არის. ასეა თუ ისე, ვსკმ „ტურის“ დამთავრებისთანავე გამოაქვეყნა თავისი ახალი კლასიფიკაცია და ჩვენც გთავაზობთ მოწინავე თხუთმეტეულს:

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია)	2468 ქულა
2. იან ულრიხი (გერმანია)	2126,75
3. ერიკ ზაბელი (გერმანია)	1736
4. ანდრეი ჩმილი (ბელგია)	1488
5. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია)	1479
6. ლენს არმსტრონგი (აშშ)	1463
7. პაოლო ბეტინი (იტალია)	1455
8. მარკუს ზბერგი (შვეიცარია)	1416,25
9. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია)	1337,25
10. აბრაამ ოლანო (ესპანეთი)	1312,75
11. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი)	1304,75
12. დავიდე რებელინი (იტალია)	1298
13. რობერტო ერასი (ესპანეთი)	1224
14. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი)	1193
15. სტეფანო გარძელი (იტალია)	1165



ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ: ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲰᲔᲫᲘᲜᲘᲡ ერთ დიდ მაღაზიაში ინგლისის პრემიერლიგის სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს. ამ საფეხბურთო სანახაობას ჩინეთში ათეულ მილიონობით მოყვარული ჰყავს. ყოველ შაბათს ეს ხალხი პირდაპირ რეპორტაჟებს უცქერს ინგლისიდან. მაგრამ ბიზნესის წესია — ბაზარი უნდა გაფართოვდეს.

ᲚᲣᲙᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲠᲝ

ᲐᲰᲐ, აღსრულდა! ზედიზედ მეორედ ამერიკელი ველოსიპედისტი ლენს არმსტრონგი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული შეიქნა. ლენსი და მისი ცოლი კრისტი ხარობენ, ცხრა თვის ლუკს კი დიდი არაფერი ესმის ამ სიხარულისა, ოდნავ შემცბარიც კი შესცქერის პირდაღებულ მამას.

ᲞᲝᲚᲝᲡ ᲭᲘᲓᲘᲚᲘ

ᲞᲝᲚᲝ ბრიტთა ერთ-ერთი სიყვარულია. ვერ მოგახსენებთ საცქერლად რამდენ სანახაობას სჯობს, მაგრამ სათამაშოდ რომ ეშხი და კაცობა სჭირდება, ნაღდია. აგე, კლიკვოტის ოქროს თასის ფინალი დასავლეთ სასექსში, ქოდრი პარკში — „გიბანგის“ გუნდი „ბლექ ბეარზს“ ამარცხებს.

ᲯᲔᲠᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲗᲐ ᲙᲕᲚᲐ: ᲣᲧᲣᲠᲔᲗ ᲧᲣᲠᲔᲑᲡ

მარბელაში დიდი კორიდაა გახურებული. იქაური პუბლიკის ახალი სიყვარული ჩვიდმეტი წლის ტორერო ხულიან ლოპესია, რომელიც არნახული ოსტატობით უსწორდება ხარს. ხულიანი, სახალხოდ კი „ელ ხული“, 23 ივლისს მხრებზე შესმული გაიყვანეს მოედნიდან იმის გამო, რომ ორი ხარის ყური არნახული მომხიბვლელობით მოინადირა. მეორე ფოტოზე ელ ხული კოლეგას ეხმარება — ტორერო ესპარტაკოსთვის ხარს რქა გაუკრავს და ეს ლამაზი ქურთუკი გაუხევია.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge